პროლეტარელნო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს და მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

გაზეთი გამოდის 1920 წლის 3 ივნისიდან

№ 142 (26488) — სამშაბათი, 20 ივნისი, 1989 წელი. — ფასი 3 კაპ.

დეპუტატი კვლავ მოსკოვს გაემგზავრა

19 ივნისს სახალხო დეპუტატებმა კომისიებში განიხილეს მუშაობა. სახალხო მეურნეობის ეკონომიკის დაგეგმვისა და საბიუჯეტო-კვლევითი ინსტიტუტის დირექტორი, ეკონომიკის მეცნიერებათა დოქტორი, თბილისის ოქტომბრის რაიონის № 168 ეროვნულ-ტერიტორიული საარჩევნო okრუგის დეპუტატი ვალერიან ადვაძე კვლავ მოსკოვს მიემგზავრება, რომ მონაწილეობა მიიღოს „მოკავშირე და ავტონომიური რესპუბლიკების, ავტონომიური ოლქების და okრუგების სოციალური და ეკონომიკური განვითარების საკითხების კომისიის მუშაობაში“. ბატონი ვალერიანი ამ კომისიის თავმჯდომარის მოადგილეა. ვინც ყრილობას მოლოდინად დეგენდა თვალყურს, ეხსომება, რომ ვალერიან ადვაძე დასახელებული იყო ალტერნატიულ კანდიდატურად კომისიის თავმჯდომარის პოსტზე, მაგრამ მან თავად მოხსნა თავისი კანდიდატურა, რადგანაც თავდაპირველად დასახელეს ლიტვის მეცნიერებათა აკადემიის ეკონომიკის, დაგეგმვისა და სახალხო მეურნეობის მართვის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის დირექტორის ედუარდას ვილკასის კანდიდატურა. მასთან არაერთი კოლეგიალური შეხვედრა და საუბარი ჰქონდა ბატონ ვალერიანს ყრილობის მიმდინარეობის დროს (4 ივნისის „კომუნისტის“ პირველ გვერდზე დაბეჭდილი ფოტოც არის ამის ერთი სახუთი) და ყრილობამდეც. ჩვენი დეპუტატი თვლის, რომ დღესდღეობით ბალტიისპირელებს უფრო დიდი გამოცდილება აქვთ ქვეყნის ეკონომიკური მდგომარეობის შესწავლის თვალსაზრისით და ერთობ საინტერესო და რეფორმატორულ წინადადებებს აყენებენ, ამიტომ მიზანშეწონილად მიიჩნია ხელი არ შეეშალა ედუარდას ვილკასისათვის დაეკავებინა ეს პოსტი, თუმცა, როგორც შემდგომ გაირკვა, ლიტველი ეკონომისტი დათანხმდა მხოლოდ ერთი წლის ვადით გაუძღვეს კომისიის მუშაობას, შემდეგ კი ეს ფუნქცია ალბათ მაინც ვალერიან ადვაძეს დაეკისრება.

კომისიის უთუოდ დიდი და ხერიოზული მუშაობა მოელის. ამის შესახებ გამგზავრების წინ რამდენიმე კითხვით მივმართეთ დეპუტატს.

— ჩვენს მკითხველებს წარვუდგინეთ სოციალური და ეკონომიკური განვითარების საკითხების შემსწავლელი კომისიის თავმჯდომარე და მოადგილე. რას გვეტყვით კომისიის დანარჩენ წევრებზე.

— კომისიაში 40 კაცი ვიმუშავებთ და, ჩემი ვარაუდით, თავისი განათლებით, სამსახურის სპეციფიკით ეკონომიკასთან და დაგეგმვასთან უშუალო კავშირი აქვს მხოლოდ შვიდ მათგანს. ესე იგი, პროფესიონალების ხვედრითი წილი მაინც მცირეა. სასიამოვნოა, რომ კომისიაში იმუშავებს ესტონეთის მეცნიერებათა აკადემიის ეკონომიკის ინსტიტუტის ყოფილი დირექტორი და ამჟამად ესტონეთის საგეგმო კომიტეტის თავმჯდომარე რეინ ოტსასონი. ის გახლავთ ფაქტიურად რესპუბლიკური სამეურნეო ანგარიშის ესტონური მოდელის მთავარი ავტორი. ზოგიერთ სხვა სპეციალისტსაც ვიცნობ, მაგრამ გამიჭირდება წინასწარ გითხრათ რაიმე მთლიანად კომისიის შესახებ. ერთს კი დავძენ: პირველ ყრილობას უფრო მიტინგის ხასიათი მიეცა, ამიტომაც კონკრეტული და პრაქტიკული საკითხების გადაწყვეტა შეუძლებელი გახდა. უფრო რეალური მუშაობა ალბათ კომისიებში და უმაღლეს საბჭოს სესიებზე უნდა წარიმართოს. ყოველ შემთხვევაში, ახლა ასე მგონია და ღმერთმა ნუ ქნას, იმედი გამიცრუდეს.

— ბატონო ვალერიან, როცა მოსკოვში, ყრილობის დახრულებამდე რამდენიმე დღით ადრე ვესაუბრეთ, თქვენ ჯერ კიდევ ეჭვნდით იმედი, რომ შეძლებდით ყრილობის მაღალი ტრიბუნიდან გეთქვათ თქვენი სიტყვა, რატომ ვერ მოხერხდა ეს?

— მოგეხსენებათ, საქართველოს დეპუტაციაში ერთადერთი ეკონომისტი ვარ, პირველი ყრილობის საკითხთა წრე კი მავალებდა როგორც სპეციალისტს გამომეთქვა ჩემი აზრი, მაგრამ ყრილობის რეგლამენტმა არ მომცა ამის საშუალება, თუმცა, ჩემი სიტყვა ჩაბარდა სამდივნოს და უნდა დაიბეჭდოს ყრილობის სტატისტიკურ ანგარიშში. შემიძლია გაგაცნოთ ჩემი მოხსენების ზოგიერთი პუნქტი:

„ჩვენი ეს ყრილობა გარდაქმნის ნაყოფია. მაგრამ გარდაქმნა მოშანდაკებული გზით როდი მიდის. აი, მეხუთე წელია დაიწყო და ჯერ ვერცერთი დიდი ეკონომიკური, სოციალური თუ ეროვნული პრობლემა ვერ გადაგვიწყვეტია, პირიქითაც კია — ეს პრობლემები კიდევ უფრო გამწვავდა.

ჩვენი საერთო ამოცანაა გამოვიძიოთ ასეთი მდგომარეობის მიზეზები და დავსახოთ ეკონომიკური კრიზისიდან ქვეყნის გამოყვანის გზები.

გარდაქმნისა და დემოკრატიზაციის პროცესში წამოიჭრა მოკავშირე რესპუბლიკების ეკონომიკური სუვერენიტეტის საკითხი. ეს უკვე უბრალოდ ეკონომიკური კი არა, ეროვნული და, მაშასადამე, დიდი პოლიტიკური საკითხია.

ამასთანავე გამოქვეყნებული პროექტი — სუვერენული უფლებების, თვითმმართველობისა და თვითდაფინანსების გაფართოების საფუძველზე მოკავშირე რესპუბლიკების ეკონომიკისა და სოციალური სფეროს ხელმძღვანელობის გარდაქმნის ზოგადი პრინციპები დოკუმენტის პროექტის გამოქვეყნების შემდეგ. სხვაგვარად, ალბათ, არც შეიძლებოდა. თვითმმართველობაზე გადასვლა ძალზე სერიოზული საქმეა და იგი მრავალი გადასაჭრელი პრობლემის წინაშე გვაყენებს.

ამ დოკუმენტის თანახმად რესპუბლიკას გადაეცემა მთელი რიგი ფუნქციები, მათ შორის სახალხო მოხმარების საქონლის მწარმოებელი დარგებისა და სოციალური სფეროს, საწარმოო ინფრასტრუქტურის, მშენებლობისა და ბუნების დაცვის ხელმძღვანელობის ფუნქციები. ეს კი, ცხადია, გულისხმობს ჯერ მარტო უფლებებისა და უფლებამოსილების ზრდას, არამედ, აგრეთვე, უწინარეს ყოვლისა, მეტ პასუხისმგებლობას რესპუბლიკის კომპლექსური ეკონომიკური და სოციალური განვითარების უზრუნველყოფას რესპუბლიკათშორისი ინტეგრაციული პროცესების გაღრმავებისათვის.

ეკონომიკურ დამოუკიდებლობასთან დაკავშირებული ყველა პრობლემა ცალ-ცალკე სალაპარაკო თემაა და მისი განხილვის პროცესში სპეციალისტები, ალბათ, თითოეულ მათგანზე გამოთქვამენ აზრს. ამ სტატიაში კი გვინდა შეეხოთ სოციალური სფეროს ერთერთ უმნიშვნელოვანეს დარგს — ფასიან მომსახურებას.

როგორც ცნობილია, სკკპ XIX საკავშირო კონფერენციის გადაწყვეტილებათა შესაბამისად სსრ კავშირის მინისტრთა საბჭომ მიიღო დადგენილება „მოსახლეობის ფასიანი მომსახურების ძირეული გარდაქმნის შესახებ“, რომლის თანახმადაც მეცამეტე ხუთწლედის დამლევისათვის მომსახურების მოცულობა ორჯერ და მეტად უნდა გაიზარდოს. დადგენილებით გათვალისწინებულია ბევრი მნიშვნელოვანი ღონისძიების განხორციელება, რაც, იმედია, საგრძნობლად წაწევს წინ საქმის.

ეს მომავალში, მაგრამ დღეს? ჯერჯერობით ამ მხრივ საქმის მდგომარეობა საკმაოდ ცუდია. მოსახლეობის მიერ დაბარჯული მანეთიდან ფასიანი მომსახურების წილად იმდენად უმნიშვნელო თანხა მოდის, რომ ამაზე არც ღირს ლაპარაკი. ამავე დროს მოსახლეობის მოთხოვნები მომსახურებაზე უფრო სწრაფად იზრდება, ვიდრე სახალხო მოხმარების საქონელზე. ასეთი ვითარება კანონზომიერია და ამ ფაქტს ახლა ითვალისწინებენ, მაგრამ მომსახურების სფერო იმდენად უყურადღებოდ იყო მიტოვებული, რომ სათანადო დონემდე მისი სწრაფად აყვანა არ არის ადვილი.

მომსახურების მოცულობამ ერთ სულ მოსახლეზე გაანგარიშებით შარშან ქვეყანაში შეადგინა 217 მანეთი, ჩვენს რესპუბლიკაში — 232 მანეთი. და ეს შარშანწინდელთან შედარებით თერთმეტი პროცენტით მეტია. საერთოდ, ამ მხრივ ბოლო ხანებში დაისახა დადებითი ტენდენციები. მომსახურების მოცულობის ზრდის ტემპმა მეთერთმეტე ხუთწლედში შეადგინა 2,8 პროცენტი, ხოლო მეთორმეტე ხუთწლედის სამ წელიწადში — 10,7 პროცენტი. ვითარდება ფასიანი მომსახურების სფერო სამინისტროებსა და უწყებებში. შარშან მშრომელებმა თავიანთ სამუშაო ადგილას შეიძინეს ექვსი მილიონი მანეთის სხვადასხვა სახეობის ნაწარმი და მასალები. ფასიანი მომსახურების საერთო მოცულობაში ყველანურც სხვებს შევაშინებთ განკერძოებთ, რომელიც, ვითომდა მოჰყვება ამას. აქ არაგვითარი ავტარკია არ არის.

ნუ გაგვიკვირდება დამოუკიდებლობისადმი ხალხთა ბუნებრივი მისწრაფება. იწურება XX საუკუნე, როცა აფრიკაშიც კი ბევრი ხალხი, რომლებსაც არასოდეს ჰქონიათ თავიანთი სახელმწიფოებრიობა, ახლა დამოუკიდებელ სახელმწიფოებად ჩამოყალიბდა. ჩვენი ქვეყნის ხალხები, რომლებსაც საუკუნეთა მანძილზე ჰქონიათ სახელმწიფოებრიობა, ცხადია, მის აღდგენაზე ოცნებობენ.

რაც შეეხება საქართველოს, მინდა შეგახსენოთ, რომ მისი სახელმწიფოებრიობა 23 საუკუნისაა, და ნუ გავოცდებით, რომ ერს სურს დაიბრუნოს ნამდვილი სუვერენიტეტი, თავისი სახელმწიფოებრიობა, პირიქით, გასაოცარი ის იქნებოდა, ეს რომ არ სურდეს. მაშინ მხოლოდ ზიზღს დაიმსახურებდა.

თავისი სახელმწიფოებრიობა საქართველომ უკანასკნელად 1921 წელს დაკარგა, როცა მოხდა მისი ანექსია. სტალინური რეპრესიები საქართველოში სწორედ ამ წელს დაიწყო.

ახლა, თუმცა, როგორც ამბობენ, ნელა, მაგრამ მაინც მიმდინარეობს უდანაშაულოდ რეპრესირებულთა რეაბილიტაციის პროცესი, მთელი ერების რეაბილიტაციაზე, მათი სახელმწიფოებრიობის აღდგენაზე კი ჯერჯერობით კრინტი არავის დაუძრავს.

ჩვენ, საქართველოს დეპუტატთა ჯგუფმა, ყრილობაზე უკვე აღვძარით საქართველოს სახელმწიფოებრიობის რეაბილიტაციის საკითხი და ყველანი, მთელი ქართველი ერი, ველით დადებითად მის გადაწყვეტას“.

ასეთი მკვეთრად გამოხატული პოზიციის მქონე დეპუტატს ისღა დაგვრჩენია ზურგს ქარი ვუსურვოთ ჩვენი მკითხველების სახელით.

გვინდა მისი თანამშრომლების ნათქვამიც გაგიმხელოთ. ინსტიტუტის სექტორის გამგე ბესიკ ალადაშვილმა გვითხრა: სახალხო დეპუტატთა პირველი ყრილობიდან თავისი პოზიციების სისწორეში კიდევ უფრო დაჯერებული დირექტორი დაგვიბრუნდა. უკიდურესად პროგრესულად, გაბედულად მოაზროვნე. გვჯერა ჩვენს ყველა წამოწყებას პირადად ჩაუდგება სათავეში და დაწყებულ დიდ სამუშაოს, ეკონომიკურ პროგრამას, რომელიც ითვალისწინებს ჩვენი რესპუბლიკის ეროვნული სიმდიდრის, ეროვნული შემოსავლის გაანგარიშებას, საფინანსო რესურსების წარმოქმნისა და გამოყენების შესწავლას, საწარმოო სიმძლავრეების გამოყენებას, თვითდაფინანსების მდგომარეობას, თვითდაფინანსების საკუთარი მოდელის შემუშავებას მისი ხელმძღვანელობით წარმატებით გავიარეთ თავს. იგი ერთი წლის მანძილზე თავად იყო და უშუალოდ ეცნობოდა ბალტიისპირელი ეკონომისტების გამოცდილებას ამ მიმართებით. ეს კი მშვენიერი სკოლაა. გვერწმუნეთ, ინსტიტუტი ყველაფერს გააკეთებს საიმისოდ, რომ დეპუტატ პოზიციები გაუმაგროს.

ესაუბრა
მანანა შავერდაშვილი.

შენდეგა ახალი მიკროქალაქი

ხშირი მეწყრები, სილიკატური ქვიშის მომპოვებელი კარიერები სიახლოვე აიძულებდა ხალხური რაიონის სოფელ იცკახის მცხოვრებლებს მიეტოვებინათ შობლიური ადგილები და თავშესაფარი სხვა კუთხეში ეძებნათ. ამ პროცესის შესაჩერებლად გადაწყდა რაიონული ცენტრის მახლობლად აეშენებინათ ახალი სოფელი. შენდება კიდეც.

დამპროექტებლებისა და მშენებლების ჩანაფიქრია მიკროქალაქი, რომელსაც ექნება 108 კეთილმოწყობილი საცხოვრებელი სახლი, საშუალო სკოლა, სახავშვო ბაღი, სავაჭრო ცენტრი, სოციალურ-კულტურული, საყოფაცხოვრებო დანიშნულების ობიექტები.

ახალ სოფელს საქართველოს სსრ მშენებლობის სამინისტროს № 8 ტრესტის № 6 სამშენებლო უბნის კოლექტივი აშენებს.

ყველა სამუშაო 1991 წელს უნდა დამთავრდეს.

სურათზე: მოწინავე მემონტაჟეთა ბრიგადის ხელმძღვანელი გელა გაფრინდაშვილი.

საქინფორმის ფოტო.

ლიტერატურა და ადამიანები

აჭარელთა ოჯახები ახალ საცხოვრებელ ადგილას

სოფელ ჩუნჩხაში აჭარულ ქორწილს ახალქალაქის თითქმის მთელი რაიონიდან ეწვივნენ სტუმრები. ხულოს რაიონიდან ჩამოსახლებული ციური საგენაძისა და მერაბ პაპიძისათვის ეს სასიხარულო მოვლენა ღირსშესანიშნავი გახდა მთიანი აჭარის სტიქიის გამო დაზარალებული და იმ რაიონის მცხოვრებლებისათვის, სადაც ახლა მათ თავიდან უნდა მოიწყონ ცხოვრება. ჩამოსახლებულთა ბედი მთელ საქართველოს აღელვებს. სწორედ ამიტომ განვლილ კვირას ახალქალაქის რაიონს ეწვია საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ნოდარ ჭითანავა, რათა სამინისტროებისა და უწყებების ხელმძღვანელებთან ერთად გასცნობოდა ახალ ადგილას აჭარელთა ოჯახების დაბინავებას. მან გულთბილად მიულოცა ახალდაქორწინებულთა ბედნიერების დღე, აღნიშნა, რომ ახალ ადგილებში ჩამოსახლებულ აჭარელთა შორის ეს პირველი ქორწილი მოწმობს მათს რწმენას, რომ კარგი მომავალი ელნებათ ახალ მიწაზე, სადაც მთ მტკიცედ უნდა გაიდგან ფესვები.

სტიქიის გამო დაზარალებულთა ბედისადმი გულგრილი არ დარჩენილან რესპუბლიკის საზღვრებს გარეთ მცხოვრები თანამემამულენიც. სსრ კავშირის სახალხო დეპუტატმა, კინორეჟისორმა რეზო თაბუკაშვილმა ახალდაქორწინებულებს გადასცა ათასი მანეთი მეურნეობის გასამართავად. ეს იმ თანხის ნაწილია, რომელიც მოსკოვის ქართველთა სათვისტომოს წევრებმა შეუგროვეს მთიანი აჭარიდან ჩამოსახლებულებს. როგორც ცნობილია, საქართველოს კულტურის ცენტრ „მზიურში“ არბატზე ფული შეგროვდა მოსკოვში მცხოვრები რესპუბლიკის ახალგაზრდობის ინიციატივით. 2850 მანეთი გადაეცა სახალხო დეპუტატს. კიდევ ათასი მანეთი აქედან მან გადასცა რეზო მიქელაძეს, აგრეთვე სოფელ ჩუნჩხაში დასახლებულს, რომელიც თავის ორ ბავშვთან ერთად ოთხ დაობლებულ ძმისწულსაც ზრდის.

ახალქალაქისა და მეზობელი ბოგდანოვკის რაიონების ტერიტორიაზე დასასახლებლად ნაკვეთები გამოეყო მთიანი აჭარიდან ჩამოსახლებულ შვიდას ოჯახს. ამბანგი ჭითანავი იყო სოფლებში ოკამში, აზმანაში, ჩუნჩხაში, კოთელიაში. ყველგან, სადაც კი ვერტმფრინავი დაეშვა, სტუმრებს იქვე ბოლს ეხვეოდნენ ჩამოსახლებულები და ადგილობრივი მცხოვრებები. საუბარი, უწინარესად, ეხებოდა ბინებს, სახლებს, სკოლების, სამბავშვო ბაღების მშენებლობის ვადებს. აჭარლებმა აღნიშნეს პარტიული და საბჭოთა ორგანოების, ადგილობრივი მცხოვრებლების კეთილმოსურნე მონაწილეობა, მათი ყოფისათვის ზრუნვა. მაგრამ, ადვილი არ არის ახალ ადგილას ყოფის საკითხების მოგვარება, და ჯერჯერობით ისინი ნელა წყდება.

პარტიის ახალქალაქის რაიკომში გაიმართა თათბირი ნ. ჭითანავას თავმჯდომარეობით და აჭარის ასსრ წარმომადგენელთა მონაწილეობით. თათბირზე დაწვრილებით და მომთხოვნელობით განიხილავდნენ შექმნილ სიტუაციას. აღინიშნა, რომ გაწეულია მნიშვნელოვანი მოსამზადებელი მუშაობა. გამოყოფილია მიწები, მთავრდება საცხოვრებელი სახლებისა და სოციალური ობიექტების დაპროექტება.

მაგრამ, პროგრამის პრაქტიკული განხორციელება სერიოზულ პრობლემებს აწყდება. საკმარისი არ არის ტრანსპორტი, მექანიზმები, საშენი მასალები, მდგომარეობას ისიც ართულებს, რომ ზოგიერთ [illegible] ადგილის [illegible] ადგილებზე [illegible] — [illegible] ეს ასაგებია საცხოვრებელი სახლების პარალელურად.

ამავე დროს პერსპექტივისათვის გათვალისწინებულ ამოცანებთან ერთად გადასაწყვეტია მიმდინარე პრობლემებიც, რომლებიც ჩამოსახლებულთა დროებით საცხოვრებლად მოწყობას უკავშირდება. ბევრისათვის თავმესაფარი ჯერჯერობით სკოლები და სხვა მშენებარე ობიექტები, მოძრავი ვაგონები და კარვები გახდება. ტურბაზა „ვარძია“ უკვე ამ დღეებში მიიღებს 120 აჭარელთა ოჯახს.

თათბირზე დაისახა სამშენებლო პროცესის ზუსტი ორგანიზაციის კონკრეტული ღონისძიებანი, მექანიზმებითა და საჭირო მასალებით, მუშახელით მისი უზრუნველყოფა. სხვათა შორის, რესპუბლიკის ხელმძღვანელებთან საუბრისას, ჩამოსახლებულებმა თქვეს, რომ მზად არიან უმუალო მონაწილეობა მიიღონ ახალი საცხოვრებელი მასივების მშენებლობაში. მათ მხარი დაუჭირეს აქ საოჯახო მეურნეობათა შექმნის იდეას. ეს ხელს შეიწყობს ახალქალაქისა და ბოგდანოვკის რაიონების სასოფლო-სამეურნეო წარმოების მრავალი პრობლემის გადაჭრას, მუშახელის ნაკადის რაციონალურ გამოყენებას.

ამაყოფილებით შეხვდნენ „ცეკავშირის“ წინადადებას ააშენონ 50-სახლიანი სოფელი მთელი ინფრასტრუქტურით, საზოგადოებრივი მეურნეობით და შეფობა გაუწიონ მათ. მოიწონეს თბილისის უნივერსიტეტის (სტუდენტების ინიციატივა, რომლებმაც გადაწყვიტეს ზაფხულის არდადეგების დროს იმუშაონ ჩამოსახლებულთათვის სახლების მშენებლობაზე.

ახალმოსახლეთა დაბინავებისა და კეთილმოწყობის პირველი რიგის ამოცანების განხილვისას გათვალისწინებული იყო ის ფაქტიც, რომ სტიქიური უბედურება კვლავინდებურად ემუქრება მთიან აჭარის სოფლებს და ახალქალაქისა და ბოგდანოვკის რაიონებში გახიზნულთა რიცხვი შეიძლება თითქმის ერთიორად გაიზარდოს. ამიტომ დასახულია ამოცანა მაქსიმალურად დარაზმონ მთელი ძალები და რეზერვები დასახულ ღონისძიებათა უფრო ოპერატიული და კომპლექსური განხორციელებისათვის. მთელ ამ მუშაობას კოორდინაციას გაუწევს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან შექმნილი ოპერატიული შტაბი, რომელსაც რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე ოთარ ქვილითაია შეთაურობს.

(საქინფორმი).

საშაარი საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტში

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა გ. გ. გუმბარიძემ მიიღო ზერლინის „ქართული კლუბის“ ერთ-ერთი ორგანიზატორი და ხელმძღვანელობის წევრი, გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მეცნიერებათა აკადემიის მეცნიერების თეორიისა და ორგანიზაციის ინსტიტუტის მეცნიერი თანამშრომელი, დოქტორი ალექსანდრე ნადირაშვილი.

ამბ. გუმბარიძე მიესალმა ჩვენს თანამემამულეს, აღნიშნა „ქართული კლუბის“ დიდი წვლილი ქართველი ერის ენის, ისტორიისა და კულტურის პროპაგანდაში, ხაზი გაუსვა, თუ რაოდენ დიდი მნიშვნელობა აქვს სახალხო დიპლომატიას სხვადასხვა ქვეყნის ხალხთა შორის კულტურული, მეცნიერული, საქმიანი ურთიერთობის განვითარებისათვის.

ალექსანდრე ნადირაშვილმა ილაპარაკა „ქართული კლუბის“ საქმიანობაზე, მის შემდგომ გეგმებზე, საქართველოსთან მეგობრული და საქმიანი ურთიერთობის გაფართოების პერსპექტივებზე.

საუბარში მონაწილეობდა საქართველოს სსრ საგარეო საქმეთა მინისტრი გ. დ. ჯაჯანიშვილი. მან თქვა, რომ რესპუბლიკის საგარეო საქმეთა სამინისტროს ალექსანდრე ნადირაშვილს მიანიჭა უფლებამოსილება წარმომადგენლობდეს ამ სამინისტროს გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკაში. (საქინფორმი).

იაპონიის პრემიერ-მინისტრის წერილი

იაპონიის პრემიერ-მინისტრი სოსუკე უნო მიმდინარე წლის მაისში, როდესაც საგარეო საქმეთა მინისტრი იყო, ოფიციალურ ვიზიტად ეწვია საბჭოთა კავშირს. ამ ვიზიტის ფარგლებში მან იმოგზაურა საქართველოში. რამდენიმე დღის წინ საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივნის გ. გ. გუმბარიძის სახელზე მოვიდა სოსუკე უნოს წერილი.

„ნება მიბოძეთ, მოგახსენოთ უღრმესი მადლობა გულთბილი მასპინძლობისათვის, რომელიც თქვენ და თქვენმა კოლეგებმა გამიწიეს სსრ კავშირში ამასწინანდელი ვიზიტის დროს, — წერს იაპონიის პრემიერ-მინისტრი. — დიდი ხანია მინდოდა მეახა თქვენი რესპუბლიკა. ძალზე მოხარული ვარ, რომ სურვილი ამიხდა და შესაძლებლობა მომეცა, თბილისსა და მცხეთაში ყოფნისას გაგცნობოდი თქვენი რესპუბლიკის შესანიშნავ კულტურას, რომელიც საქართველოს დიდი ხნის ისტორიად წარმოშვა. გავცნობოდი მწვანით დაბურულ ქუჩებს, ადამიანთა ენერგიულ ცხოვრებას. რესპუბლიკის მცხოვრებთა მხრივ გულთბილება მიღებამ ჩვენზე უღრმესი შთაბეჭდილება მოახდინა და ეს შეხვედრები დიდხანს გვესმება.

უნდა გვახსოვდეს, რომ თანდათანობით, სამეურნეოანგარიშიანი ურთიერთობის განმტკიცებისა და მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის დაჩქარების კვალობაზე მატერიალური წარმოებიდან კვლავ გამოთავისუფლდება ათასობით ადამიანი, რომელიც საწარმოების კარგად განვითარებულ მომსახურების სფეროში დასაქმდებიან. გამოთავისუფლებულთა რიცხვმა ჩვეულებრივ, ჩანაფიქრით, თხუთმეტი-თექვსმეტი მილიონი კაცი უნდა შეადგინოს, მომსახურების სფერო ნამდვილად უნდა გადაიდეს ინდუსტრიულ რელსებზე.

სამუშაო ადგილას მომსახურების გაუმჯობესება ძალზე ხელსაყრელია. ადამიანებს ეს უზოგავს დროს, დადებითად მოქმედებს მათს გუნება-განწყობილებაზე, ჯანმრთელობასა და, მაშასადამე, საწარმოო მაჩვენებლებზე, კერძოდ, შრომის ნაყოფიერების ზრდაზე.

დღესდღეობით კი ფასიანი მომსახურების დონე საწარმოებში, როგორც უკვე ითქვა, დაბალია. სამინისტროების, უწყებების, საწარმოების დაახლოებით მესამედი ვერ უზრუნველყო შარშან ამ მხრივ გეგმების შესრულება. ამის გამო დაიკარგა 27.877 ათასი მანეთის დამატებითი შემოსავლისა და ე. ი. ფინანსური მდგომარეობის გარკვეულწილად გაჯანსაღების კარგი შესაძლებლობა. საქმეს წინ არც მიმდინარე წლის ხუთ თვეში წაუწევია. ამ ხნის განმავლობაში რესპუბლიკის სამინისტროებმა, უწყებებმა, საკავშირო დაქვემდებარების საწარმოებმა და ორგანიზაციებმა 10950,4 ათასი მანეთი დაგვაკლეს. სამწუხაროა, რომ მრავალი ორგანიზაცია ვერ ასრულებს ფასიანი მომსახურების ისეთაც უმნიშვნელო გეგმას.

როცა ამას ვლაპარაკობთ, ვგულისხმობთ, მაგალითად, „საქქვანახშირის“ საწარმოო გაერთიანებას, რომელმაც ჩვენგმის შესრულებას ოთხ თვეში თითქმის 15 პროცენტი დააკლო, რაც ფულად გამოხატულებაში მხოლოდ 75 ათასი მანეთია, ასევე უნდა ითქვას ზოგიერთ სხვა საწარმოზეც.

საწარმოებში ფასიანი მომსახურების დაბალი დონე ამ საქმისადმი ხელმძღვანელების, პარტიული და პროფკავშირული ორგანიზაციების უპასუხისმგებლო დამოკიდებულების შედეგია. ზოგიერთ ხელმძღვანელს არც ესმის მთლიანად რაზეა ლაპარაკი, რა ფასიან მომსახურებაზეა მსჯელობა. არადა, მოქმედების სარბიელი პირდაპირ უსაზღვროა. იგულისხმება საცხოვრებელი ბინების და სახაღე სახლების, გარაჟების შეკეთება, ტვირთის ზიდვა, საყოფაცხოვრებო ტექნიკის რემონტი. მოსახლეობის შეკვეთით სხვადასხვა სახეობის რკინეულის ნაწარმის დამზადება, ფასიანი ავტოსადგომების შექმნა და ასობით კიდევ სხვა სახეობის სამუშაოების შესრულება.

როგორც უკვე ითქვა, შესაძლებლობები ფასიანი მომსახურების მოცულობის მკვეთრი ზრდისათვის განუსაზღვრელია. საჭიროა მხოლოდ მონდომება, საქმისადმი გაძლიერებული პასუხისმგებლობით მიდგომა, ძიება, სიახლის შეგრძნებით ცხოვრება. სრულ სამეურნეო ანგარიშსა და თვითდაფინანსებაზე მომუშავე საწარმოებისათვის ეს შემოსავლის ზრდის დიდი წყაროა.

ზოთა ამაშუკელი.

მთლიანად შემოვგრუნდეთ ადამიანისაკენ

რამდენს ვხარჯავთ მომსახურებისათვის?

ამ ბოლო ორი-სამი წლის მანძილზე მეცნიერი ეკონომისტები არნახულად ბევრს მსჯელობენ ჩვენი რესპუბლიკის ფინანსური მდგომარეობის გაჯანსაღებაზე, ეძიებენ გზებს ამ მხრივ არსებული რთული სიტუაციიდან თავის დასაღწევად. ეს საკითხი განსაკუთრებული ყურადღების ცენტრში მოექცა მოკავშირე რესპუბლიკებში მათი სუვერენული უფლებების, თვითმმართველობისა და თვითდაფინანსების გაფართოების საფუძველზე ეკონომიკისა და სოციალური სფეროს ხელმძღვანელობის გარდაქმნის ზოგადი პრინციპების დოკუმენტის პროექტის გამოქვეყნების შემდეგ. სხვაგვარად, ალბათ, არც შეიძლებოდა. თვითმმართველობაზე გადასვლა ძალზე სერიოზული საქმეა და იგი მრავალი გადასაჭრელი პრობლემის წინაშე გვაყენებს.

ამ დოკუმენტის თანახმად რესპუბლიკას გადაეცემა მთელი რიგი ფუნქციები, მათ შორის სახალხო მოხმარების საქონლის მწარმოებელი დარგებისა და სოციალური სფეროს, საწარმოო ინფრასტრუქტურის, მშენებლობისა და ბუნების დაცვის ხელმძღვანელობის ფუნქციები. ეს კი, ცხადია, გულისხმობს ჯერ მარტო უფლებებისა და უფლებამოსილების ზრდას, არამედ, აგრეთვე, უწინარეს ყოვლისა, მეტ პასუხისმგებლობას რესპუბლიკის კომპლექსური ეკონომიკური და სოციალური განვითარების უზრუნველყოფას რესპუბლიკათშორისი ინტეგრაციული პროცესების გაღრმავებისათვის.

ეკონომიკურ დამოუკიდებლობასთან დაკავშირებული ყველა პრობლემა ცალ-ცალკე სალაპარაკო თემაა და მისი განხილვის პროცესში სპეციალისტები, ალბათ, თითოეულ მათგანზე გამოთქვამენ აზრს. ამ სტატიაში კი გვინდა შეეხოთ სოციალური სფეროს ერთერთ უმნიშვნელოვანეს დარგს — ფასიან მომსახურებას.

როგორც ცნობილია, სკკპ XIX საკავშირო კონფერენციის გადაწყვეტილებათა შესაბამისად სსრ კავშირის მინისტრთა საბჭომ მიიღო დადგენილება „მოსახლეობის ფასიანი მომსახურების ძირეული გარდაქმნის შესახებ“, რომლის თანახმადაც მეცამეტე ხუთწლედის დამლევისათვის მომსახურების მოცულობა ორჯერ და მეტად უნდა გაიზარდოს. დადგენილებით გათვალისწინებულია ბევრი მნიშვნელოვანი ღონისძიების განხორციელება, რაც, იმედია, საგრძნობლად წაწევს წინ საქმის.

ეს მომავალში, მაგრამ დღეს? ჯერჯერობით ამ მხრივ საქმის მდგომარეობა საკმაოდ ცუდია. მოსახლეობის მიერ დაბარჯული მანეთიდან ფასიანი მომსახურების წილად იმდენად უმნიშვნელო თანხა მოდის, რომ ამაზე არც ღირს ლაპარაკი. ამავე დროს მოსახლეობის მოთხოვნები მომსახურებაზე უფრო სწრაფად იზრდება, ვიდრე სახალხო მოხმარების საქონელზე. ასეთი ვითარება კანონზომიერია და ამ ფაქტს ახლა ითვალისწინებენ, მაგრამ მომსახურების სფერო იმდენად უყურადღებოდ იყო მიტოვებული, რომ სათანადო დონემდე მისი სწრაფად აყვანა არ არის ადვილი.

მომსახურების მოცულობამ ერთ სულ მოსახლეზე გაანგარიშებით შარშან ქვეყანაში შეადგინა 217 მანეთი, ჩვენს რესპუბლიკაში — 232 მანეთი. და ეს შარშანწინდელთან შედარებით თერთმეტი პროცენტით მეტია. საერთოდ, ამ მხრივ ბოლო ხანებში დაისახა დადებითი ტენდენციები. მომსახურების მოცულობის ზრდის ტემპმა მეთერთმეტე ხუთწლედში შეადგინა 2,8 პროცენტი, ხოლო მეთორმეტე ხუთწლედის სამ წელიწადში — 10,7 პროცენტი. ვითარდება ფასიანი მომსახურების სფერო სამინისტროებსა და უწყებებში. შარშან მშრომელებმა თავიანთ სამუშაო ადგილას შეიძინეს ექვსი მილიონი მანეთის სხვადასხვა სახეობის ნაწარმი და მასალები. ფასიანი მომსახურების საერთო მოცულობაში ყველანურც სხვებს შევაშინებთ განკერძოებთ, რომელიც, ვითომდა მოჰყვება ამას. აქ არაგვითარი ავტარკია არ არის.

ნუ გაგვიკვირდება დამოუკიდებლობისადმი ხალხთა ბუნებრივი მისწრაფება. იწურება XX საუკუნე, როცა აფრიკაშიც კი ბევრი ხალხი, რომლებსაც არასოდეს ჰქონიათ თავიანთი სახელმწიფოებრიობა, ახლა დამოუკიდებელ სახელმწიფოებად ჩამოყალიბდა. ჩვენი ქვეყნის ხალხები, რომლებსაც საუკუნეთა მანძილზე ჰქონიათ სახელმწიფოებრიობა, ცხადია, მის აღდგენაზე ოცნებობენ.

რაც შეეხება საქართველოს, მინდა შეგახსენოთ, რომ მისი სახელმწიფოებრიობა 23 საუკუნისაა, და ნუ გავოცდებით, რომ ერს სურს დაიბრუნოს ნამდვილი სუვერენიტეტი, თავისი სახელმწიფოებრიობა, პირიქით, გასაოცარი ის იქნებოდა, ეს რომ არ სურდეს. მაშინ

ჩვენს ქვეყანაში, როგორც ცნობილია, მოქმედებს კანონი „სახელმწიფო საწარმოს (გაერთიანების) შესახებ“ და დადგინდა გაკვლენაც ახდენს საწარმოთა გამართულ მუშაობაზე. მაგრამ როგორც მისი დებულებების რეალიზაციის ანალიზი გვარწმუნებს, ნაკლოვანებებიც საკმაოდ არის. მაგალითად, მიუხედავად იმისა, რომ 1989 წლისათვის, წინა წლებთან შედარებით, სამეურნეო ხელშეკრულებების დადების გარკვეული დადებითი ძვრები უთუოდ შეინიშნება, საკმაოდ არის ნეგატიური ფაქტორებიც, რომლებიც ამუხრუჭებენ სამართლებრივი საშუალების ეფექტიან გამოყენებას, კანონის დებულებების რეალიზაციას, სამეურნეო ხელშეკრულებების დროულ გაფორმებას.

გამოიკვეთა ისიც, რომ სამეურნეო ხელმძღვანელთა ნაწილი არ უთმობს ჯეროვან უურადღებას შრომის სწორ ორგანიზაციას, რომელიც სამეურნეო ხელშეკრულებების დროულ და ხარისხიან გაფორმებას შეუწყობდა ხელს. ჯერ კიდევ არ არის მიღწეული ურთიერთშეთანხმებული დამოკიდებულება საგეგმო და მომარაგება-გასაღების ორგანოების, სამინისტროების, სახელმწიფო კომიტეტების, უწყებებისა და სამეურნეო მექანიზმის სხვა რგოლების საქმიანობაში. სუსტია სახალხო დეპუტატების ადგილობრივი საბჭოების აღმასკომების როლი სამეურნეო დისციპლინის განმტკიცების საქმეში.

რესპუბლიკის სტატისტიკომის ცნობით, მიმდინარე წლის 18 მარტისათვის, როდესაც პრაქტიკულად უკვე ამოწურული იყო ხელშეკრულებათა დადება-გაფორმების დრო, ისინი დაიდო პროდუქციისა და საქონლის საერთო მოცულობის მხოლოდ 91 პროცენტზე. ესე იგი ხელშეკრულებები არ დადებულა 82,6 მილიონი მანეთის პროდუქციასა და საქონელზე.

არადა, ამ მხრივ არსებული ასეთი ცუდი მდგომარეობა საფრთხის წინაშე აყენებს 1989 წლის პროდუქციისა და საქონლის მიწოდების გეგმების შესრულებას. სწორედ ამ მხრივ ჩვენს რესპუბლიკაში ამჟამად არსებულ საქმის მდგომარეობასა და გადასაჭრელ პრობლემებზეა საუბარი ქვემოდადებულ პუბლიკაციაში.

ხელშეკრულებები დროულად

უნდა გაფორმდეს და შესრულდეს

სახალხო მეურნეობის განვითარების თანამედროვე ეტაპზე, ეკონომიკური ურთიერთობის გარდაქმნის პირობებში რადიკალურად იცვლება ხელშეკრულების როლი სამეურნეო მექანიზმში. იგი რეალურ მნიშვნელობას იძენს და სამეურნეო ურთიერთობების სამართლებრივი რეგულირების ძირითად საშუალებად იქცევა. ემყარება რა სახალხო მეურნეობისა და მოქალაქეთა მოთხოვნებს, ხელშეკრულება საწარმოების, ორგანიზაციებისა და გაერთიანებების საწარმოო პროგრამის ფორმირების საფუძველი ხდება. ხელშეკრულების ფუნქციონირების ძირითადი პრინციპები განსაზღვრულია კანონებში სახელმწიფო საწარმოს (გაერთიანების) და სსრ კავშირში კოოპერაციის შესახებ. აღნიშნულმა კანონებმა საწარმოს მინიჭა ფართო უფლებამოსილება აირჩიოს მისთვის ეკონომიკურად ხელსაყრელი სამეურნეო კავშირები, სახელშეკრულო ურთიერთობების სტრუქტურა, კონტრაგენტები, განსაზღვროს ხელშეკრულების პირობები და ა. შ. სახელშეკრულო კავშირების ფორმირების პრინციპები საფუძვლად დაედო ახალ დებულებებს საწარმოო-ტექნიკური დანიშნულების პროდუქციისა და სახალხო მოხმარების საქონლის მიწოდების შესახებ, რომლებიც სსრ კავშირის მინისტრთა საბჭომ 1988 წლის 25 ივლისის დადგენილებით დაამტკიცა და 1988 წლის 1 აგვისტოდან მოქმედებენ.

ფართო გასაქანი მიეცა საწარმოთა ინიციატივას — ფინანსური მდგომარეობის გათვალისწინებით შეიძინოს მოთხოვნილებებისა და განვითარების შესაბამისი საჭირო ნედლეული, მასალა, ამასთან შეიქმნას მატერიალური წახალისებანი სრული სამეურნეო ანგარიშისა და თვითდაფინანსებისათვის. უდავოა სამეურნეო ხელშეკრულებების უდიდესი როლი საწარმოთა მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის საქმეში. დღევანდელ პირობებში სახელშეკრულებო საქმიანობის წინა პლანზე წამოწევა ამაღლებს საწარმოს ხელმძღვანელთა პასუხისმგებლობას, როგორც ხელშეკრულების დადებასა და შესრულებაზე საერთოდ ზედამხედველობის, ისე სახელშეკრულო კომპანიის ჩატარებისას წამოჭრილი სადავო საკითხების გადაწყვეტის დროს. ელინდება საწარმოს ხელმძღვანელთა ახლებური, აქტიური დამოკიდებულება სამეურნეო ხელშეკრულების როლისა და მნიშვნელობის მიმართ. ამის ნათელსაყოფად საკმარისი იქნებოდა აღგვნიშნა, რომ, თუ შარშან საქართველოს სსრ სახელმწიფო არბიტრაჟმა სულ 947 სახელშეკრულებო დავა განიხილა, მხოლოდ მიმდინარე წლის პირველ კვარტალში ამ მხრივ სახელმწიფო არბიტრაჟში განხილულ დავათა რიცხვმა ხუთასს მიაღწია. თანაც, თუ წინათ დავათა განხილვა ძირითადად ფორმალური ხასიათისა და საწარმოს სასიცოცხლო ინტერესებს მოწყვეტილი იყო, დღეს ეს პროცესი რეალური და პრინციპული მნიშვნელობისაა.

რესპუბლიკის ბევრი საწარმოს ხელმძღვანელს, შრომითს კოლექტივს კარგად ესმის ხელშეკრულების დროულად გაფორმების აუცილებლობა, მაგრამ როგორც საარბიტრაჟო საქმეთა ანალიზი გვიჩვენებს, ბევრმა მათგანმა არაცის, როგორ უნდა იმუშაოს საამისოდ. ბევრმა სათავისოდ, მომხმარებელთა ინტერესებს მოწყვეტით გაიგო. სახელმწიფო საწარმოს (გაერთიანების) შესახებ კანონის დებულებები და ასევე ცდილობს მათ გამოყენებას სამეურნეო საქმიანობაში, რასაც სახელშეკრულებო კამპანიის დროულად და ოპერატიულად დამთავრების ნაცვლად ამ საქმის დაუსაბუთებელ გაჭიანურებამდე მივყავართ.

სსრ კავშირის მომარაგების სახელმწიფო კომიტეტის და სსრ კავშირის სახელმწიფო არბიტრაჟის მეთოდიკური რეკომენდაციებით 1989-1990 წლებში საწარმოოტექნიკური დანიშნულების პროდუქციის მიწოდებაზე ხელშეკრულების მოქმედების ვადის გაგრძელებასთან დაკავშირებული მუშაობის დროს მომხმარებელ და მიმწოდებელ საწარმოებს შესაძლებლობა მიეცათ 1988 წლის აპრილიდან დაეწყოთ ორგანიზაციული საქმიანობა ხელშეკრულებების დასადებად, ან/ან ხელშეკრულების ვადის გაგრძელებისა და ახლის დასამყარებლად. აღინიშნა, რომ აუცილებელი დაზუსტებანი რომეკლატურის (ასორტიმენტის) რაოდენობის, პროდუქციის მიწოდების კონკრეტული ვადების ნაწილში მხარეებს ხელშეკრულებაში შეაქვთ მას შემდეგ, რაც საწარმოებისათვის ცნობილი იქნება სახელმწიფო შეკვეთები, ლიმიტები (ფონდები) და სხვა აუცილებელი ციფრობრივი მაჩვენებლები.

საარბიტრაჟო საქმეთა ანალიზმა გვიჩვენა, რომ მიუხედავად არსებული მიზეზებისა, რესპუბლიკის საწარმოთა ერთმა ნაწილმა უარი განუცხადა მომხმარებელს 1989 წლისათვის პროდუქციის მიწოდების შესახებ ხელშეკრულების ვადის გაგრძელებაზე იმ მოტივით, რომ საწარმოს ჯერ არ მიუღია სახელმწიფო შეკვეთები, ლიმიტები (ფონდები) ნედლეულსა და მაკომპლექტებელ ნაწარმზე, რომ საწარმოს დამტკიცებული არა აქვს საწარმოო გეგმები და სხვა. არადა, ეს მოტივები არ შეიძლება იყოს მიმწოდებელ და მყიდველ ორგანიზაციას შორის ხელშეკრულების ვადის გაგრძელებებზე უარის თქმის საფუძველი, თუკი მათ შორის უკვე ჩამოყალიბებულია პირდაპირი ხანგრძლივი სამეურნეო კავშირები, ანუ თუ მხარეთა შორის ბოლო ორი წლის განმავლობაში ზედიზედ იდებოდა ხელშეკრულებები.

აღნიშნული გზით ხელშეკრულების ვადის გაგრძელებაზე თავის არიდება სცადეს კასპის „ელექტროაპარატის“ (დირექტორი — შ. მოსიაშვილი), ზესტაფონის „საქკაბელის“ (დირექტორი — გ. ყუჭუხიძე), თბილისის „ელექტროიზოლატის“ (დირექტორი — გ. ტყეკაძე), თბილისის ელექტროშემდოებელი (დირექტორი — რ. სულაძე და „თბილისხელსაწყოს“ (დირექტორი — ტ. ბეჟანიშვილი) ქარხნებმა.

სახელმწიფო საწარმოს (გაერთიანების) შესახებ კანონის მე-15 მუხლმა და პროდუქციისა და საქონლის მიწოდების შესახებ ახალმა დებულებამ მომხმარებელს მიანიჭა უპირატესი უფლება შეინარჩუნოს არსებული და გაფართოოს პირდაპირი ხანგრძლივი სამეურნეო კავშირები დამამზადებლებთან. ასეთი კავშირების ცალმხრივი დაოვევიან უფლება მიმწოდებელ ორგანიზაციას არა აქვს. ანალიზმა ცხადყო, რომ რესპუბლიკის საწარმოთა გარკვეულმა ნაწილმა კანონის მე-10 მუხლის მე-4 პუნქტზე დაყრდნობით, თავიანთ ადრე ხანგრძლივი სამეურნეო კავშირების დამყარებას და ხელშეკრულებები გააფორმა ერთწლიან მომხმარებლებთან პროდუქციისა და საქონლის თავისუფალი რეალიზაციის გზით. არადა, დამამზადებელ საწარმოს აღნიშნული მუხლის გამოყენების შესაძლებლობა ეძლევა მხოლოდ მას შემდეგ, რაც სრულად დააკმაყოფილებს მასთან ხანგრძლივ სამეურნეო კავშირურთიერთობაში მყოფ მომხმარებელთა ინტერესებს.

ასეთი ფაქტები კი საკმაოდ ხშირია. მაგალითად „საქელექტრომანქანის“ რესპუბლიკურმა საწარმოო გაერთიანებამ 1988 წლის მაისისათვის მთლიანად ამოწურა 1989 წლის მისაწოდებელი სახალხო მოხმარების საქონლის მოცულობა, გააფორმა რა ხელშეკრულებები ერთწლიან მომხმარებლებთან შეკვეთების საფუძველზე, ხოლო შემდეგ უარი უთხრა ხელშეკრულების ვადის გაგრძელებაზე ხანგრძლივ სამეურნეო კავშირურთიერთობაში მყოფ მომხმარებლებს. ამ უკანასკნელებმა სარჩელით მიმართეს საქართველოს სსრ სახელმწიფო არბიტრაჟს იძულების წესით ხელშეკრულების გაფორმების თაობაზე. სახელმწიფო არბიტრაჟის გადაწყვეტილებებით მომხმარებელთა მოთხოვნა დაკმაყოფილდა. გაერთიანებას რეკომენდაცია მიეცა ხელშეკრულებები გააუქმოს ერთწლიან მომხმარებლებთან და მაქსიმალურად დაკმაყოფილოს იმ მომხმარებელთა ინტერესები, რომლებთანაც ხანგრძლივი სამეურნეო კავშირი აქვს დამყარებული.

მაგრამ, ბუნებრივია, ისმის კითხვა: რა გზას დაადგეს მყიდველი ორგანიზაცია ასეთ შემთხვევებში? პროდუქციის მიწოდების შესახებ დებულების მე-7 პუნქტის თანახმად, დამამზადებლის მიერ მყიდველისათვის ულიმიტო შეკვეთის დროს ხელშეკრულების დადებაზე უარის მიღებისას, დაინტერესებული მხარის განცხადების საფუძველზე, საკითხი მომხმარებლის მოთხოვნილების დაკმაყოფილების თაობაზე 10 დღის ვადაში უნდა განიხილოს და გადაწყვეტოს დამამზადებელმა სამინისტრომ მომხმარებელ სამინისტროსთან ერთად (აუცილებლობის შემთხვევაში მომარაგება-გასაღების სახელმწიფო კომიტეტის მონაწილეობით).

ამრიგად, აღნიშნული სახის დავა არ ექვემდებარება სახელმწიფო არბიტრაჟის განხილვას. ისინი ამ უკანასკნელის მსჯელობის საგანი ხდება მხოლოდ მაშინ, თუ არსებობს მხარეთა შეთანხმება არბიტრაჟის ორგანოებისათვის დავის გადაცემის თაობაზე. რაც შეეხება ერთწლიანი ხელშეკრულების გაუქმებიდან გამომდინარე დავას, მას სახელმწიფო არბიტრაჟი ყოველთვის განიხილავს იმის მიუხედავად, შეთანხმებული არიან თუ არა მხარეები.

საქართველოს სსრ სახელმწიფო არბიტრაჟში ხელშეკრულებისწინა დავის განხილვის პრაქტიკა მოწმობს, რომ რესპუბლიკის საწარმოები და ორგანიზაციები ხელშეკრულების დადებაზე უარის თქმის მოტივად ყველაზე ხშირად იმიზეზებენ ამა თუ იმ სახეობის პროდუქციის, როგორც მორალურად მოძველებულისა და არარენტაბელურის, საწარმოო გეგმიდან მოხსნას. არადა, ეს მოტივი მომქმედი კანონმდებლობით არ ითვლება უარის საფუძვლად, თუმცა მას ხშირად იყენებენ.

მაგალითად, ლილოს საშენ მასალათა კომბინატმა, იმის გამო, რომ სამეურნეო ანგარიშზე და თვითდაფინანსებაზე გადავიდა, ისარგებლა კანონის მე-2 და მე-10 მუხლებით და 1989 წლის საწარმოო გეგმიდან, შრომითი კოლექტივის საბჭოს გადაწყვეტილებით, ამოიღო იზოლი და ფოლგოზოლი, როგორც მოძველებული, და უარი უთხრა მომხმარებლებს ხელშეკრულებების ვადის გაგრძელებაზე. ამ უკანასკნელებმა სარჩელით მიმართეს რესპუბლიკის სახელმწიფო არბიტრაჟს და მოითხოვეს ხელშეკრულების იძულებით გაფორმება. არბიტრაჟმა დაკმაყოფილა მომხმარებელთა ინტერესები, რადგან საწარმომ, გაერთიანებამ, ორგანიზაციამ წლიური გეგმა მისი ხუთწლიანი გეგმისა და მომხმარებლებთან დადებული ხელშეკრულებების საფუძველზე უნდა დაამტკიცოს. ამიტომ კომბინატს არ ჰქონდა უფლება გეგმიდან ამოეღო პროდუქცია, რომელზეც არსებობს მყიდველთა მოთხოვნა. კომბინატს გადაწყვეტილებით მიეთითა, რომ სახელმწიფო საწარმოს შესახებ კანონის მე-2 მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად საწარმოებმა ისე უნდა გასწორონ თავიანთი საქმიანობა, რომ არ დაარღვიონ სხვა საწარმოთა და ორგანიზაციათა ნორმალური მუშაობის პირობები.

როგორც საარბიტრაჟო საქმეთა ანალიზმა და ცალკეულ საწარმოებში ჩატარებულმა შემოწმებებმა გვიჩვენა, ხელშეკრულებების დროულად გაფორმებას ხელს უშლის ისიც, რომ სამინისტროებიდან მათთვის გამოყოფილ ლიმიტებს დროულად არ უნაწილებენ დაქვემდებარებულ საწარმოებს. იმის ნაცვლად, რომ საწარმოებს ლიმიტები პირველ სექტემბრამდე მიეღოთ, მათ ისინი მხოლოდ 1988 წლის მიწურულს, ზოგან კი 1989 წლის იანვარ-თებერვალში მიიღეს. თუ იმასაც გავითვალისწინებთ, რომ 1989 წლისთვის ხელშეკრულებათა დადება-გაფორმება 1988 წლის 15 ოქტომბრამდე უნდა დამთავრებულიყო, რაც რესპუბლიკის საწარმოთა უმრავლესობამ შეძლო კიდეც, ადვილი წარმოსადგენია, თუ რა გარკვეულობამ წინაშე აღმოჩნდებოდნენ საწარმოები, როცა დაგვიანებით დაშვებული ლიმიტებით პროდუქცია არ გაუწაწილდათ მათთან ხანგრძლივ სამეურნეო კავშირურთიერთობაში მყოფ მომხმარებლებს. მით უფრო, რომ მათ ამ უკანასკნელებთან დირექტიული ორგანოების რეკომენდაციით უკვე დადებული (გაგრძელებული) ჰქონდათ ხელშეკრულებები 1989 წლისათვის პროდუქციის მიწოდებაზე. გაორკეცებული შრომისა და დანარჯული დროის ფასად დაუჯდათ რესპუბლიკის საწარმოებს ეს ამ ფაქტორებისათვის ხელშეკრულებების დროულად გაფორმებით მიღებული სარგებლიანობა და ამ მხრივ შესაბამისი სამსახურების მუშაობის გაძლიერების საჭიროება.

ამასთან, არ შეიძლება უყურადღებოდ დავტოვოთ ის ფაქტი, რომ საწარმოთა ხელშეკრულების წინა საქმიანობის ორგანიზაციაში დაბნეულობისა და გაუგებრობის ერთ-ერთი მთავარი მიზეზია ის, რომ მოქმედ კანონმდებლობაში ლიმიტები სათანადოდ არ არის გამიჯნული სახელმწიფო შეკვეთებისაგან.

1989 და 1990 წლებში სახელმწიფო შეკვეთების ფორმირების წესის შესახებ დროებითი დებულებით, რომელიც სსრ კავშირის მინისტრთა საბჭომ 1988 წლის 25 ივლისის დადგენილებით დაამტკიცა, სახელმწიფო შეკვეთები უწინარესად ემსახურება იმას, რომ უპირველესად დაკმაყოფილეს გადაუდებელი საზოგადოებრივი მოთხოვნები საწარმოო-ტექნიკური დანიშნულების პროდუქციის და სახალხო მოხმარების საქონლის მიწოდებაზე, სამუშაოს შესრულებაზე, სამსახურის გაწევაზე. სახელმწიფო შეკვეთამ უნდა უზრუნველყოს საწარმოთა ფართო დამოუკიდებლობა ქვეყნის ეკონომიკური და სოციალური ამოცანების გადაწყვეტაში, დაჩქაროს მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესისა და ეკონომიკის სტრუქტურული გარდაქმნა.

თუ მხედველობაში მივიღებთ, რომ სახელმწიფო შეკვეთაში გათვალისწინებული არ არის ბევრი სახეობის დარგთაშორისი გამოყენების პროდუქცია, რომელთაც განსაკუთრებული მნიშვნელობა განეკუთვნებათ სახალხო მეურნეობის ბალანსირებულ განვითარებაში, ამავე დებულებამ მათზე მოთხოვნილების რეგულირების საშუალებად დაადგინა ე. წ. მოხმარების ლიმიტები.

როგორც სახელმწიფო შეკვეთა, ისე ლიმიტი მხარეთა შორის პროდუქციის მიწოდებაზე (სამუშაოს შესრულებაზე, სამსახურის გაწევაზე) ხელშეკრულების დადების საფუძველია.

სახელმწიფო შეკვეთას უზრუნველყოფს თვით სახელმწიფო. მის შესასრულებლად გამოიყოფა საჭირო ნედლეული და მასალა. ასევე სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის რანგში აყვანილი ლიმიტების უზრუნველყოფისათვის პასუხისმგებლობა კი მთლიანად საწარმოთა გარჯასა და ინიციატივაზეა დამოკიდებული. საწარმოს წართმეული აქვს უფლება ნედლეულს უქონლობის გამო უარი თქვას ლიმიტის შესასრულებლად მიღებაზე. და თუ ობიექტური მიზეზების გამო ვერ შეძლებს ნედლეულისა და მასალის შეძენას, ლიმიტით თავს მოხვეული ვალდებულებები საწარმოს შეუსრულებელი რჩება. მყიდველი ვერ მიიღებს საჭირო პროდუქციას, ხოლო საწარმო მთელი წლის განმავლობაში ანაზღაურებს მყიდველისათვის მიყენებულ ზარალს, სამეურნეო ანგარიშიანობის პირობებში კი ადვილი წარმოსადგენია, რაოდენ უსიხარულოა საწარმოს მომავალი და უნუგეშოა მისი შრომითი კოლექტივის ბედი ასეთ დროს.

ამრიგად, ნათლად არის გამოკვეთილი სავალდებულო ძალის მქონე ორი მნიშვნელოვანი დოკუმენტის დებულობა, რითაც ფაქტობრივად კნინდება საწარმოთათვის კანონით მინიჭებული დამოუკიდებლობა, — აირჩიოს მისთვის ხელსაყრელი სახელშეკრულებო სტრუქტურა, სამეურნეო კავშირ-ურთიერთობის ფორმა შეიმუშაოს საწარმოო პროგრამა და ა. შ. ეს განსაკუთრებით იჩენს თავს მაშინ, როცა საწარმოს პროდუქციის მოცულობა, მისი განსაკუთრებით საჭირო სახალხო-სამეურნეო მნიშვნელობის სტატუსიდან გამომდინარე, მთლიანად არის მოქცეული სახელმწიფო შეკვეთისა და ლიმიტების ფარგლებში.

კანონმდებლობის ხარვეზად შეიძლება ჩაითვალოს ის ფაქტიც, რომ მასში გათვალისწინებული არ არის პასუხისმგებლობის საკითხი იმისათვის, რომ საწარმოებს მათთვის გამოყოფილ ლიმიტებს (ფონდებს) დაგვიანებით აძლევენ. ლიმიტების დაგვიანებით გაცემა კი აფერხებს საწარმოო გეგმების ფორმირების პროცესს, მყიდველთა შერჩევას, ქმნის სირთულეებს სამეურნეო საქმიანობაში.

ეფიქრობთ, საჭიროა კანონმდებლობაში დაწესდეს ნორმა, რომლის მიხედვითაც ლიმიტების (ფონდების) მიღების დადგენილი ვადის გასვლის შემდეგ საწარმოს მიეცემა უფლება დამოუკიდებლად გაასაღოს პროდუქცია და გამოიყენოს მისი თავისუფალი რეალიზაციის ფორმა.

ნატო ტაბუცაძე,
საქართველოს სსრ სახელმწიფო არბიტრაჟის სახელმწიფო არბიტრი.

ყურადღება — სოფლის მშენებლობას

უპირველოდ ფართო აღმოჩნდა ერევანში 17 ივნისს გამართული სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს მიწისძვრის შედეგების ლიკვიდაციის კომისიის მორიგი ოპერატიული თათბირის შემადგენლობა. სომხეთის დაზარალებულ რაიონებში მუშაობით დასაქმებულ უმუალო ხელმძღვანელთა გარდა, მასში მონაწილეობდნენ სსრ კავშირის მთელი რიგი სამინისტროებისა და უწყებების, მოკავშირე და ავტონომიური რესპუბლიკების, მხარეებისა და ოლქების სახაგრომრეწვების, სახმშენების და საბჭოთა ორგანოების ხელმძღვანელები. მათი მოწვევა აუცილებელი გახდა სტიქიური უბედურების ზონაში შექმნილი ვითარების გამო, სადაც შრომობენ მთელი ქვეყნის წარგზავნილები. ეს ვითარება სულაც არ არის სასიკეთო, სახსრებისა და ძალების კოორდინაციას, თითოეულ უბანზე სამუშაოთა ვადებისა და მოცულობის დაზუსტებას მოითხოვს.

ეს ცხადყო თათბირის მსვლელობამაც, რომელსაც უძღვებოდა სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე ბ. ლ. ტოლსტიხი. თათბირზე განიხილეს სომხეთის სს რესპუბლიკის სასოფლო დასახლებული პუნქტებისა და აგროსამრეწველო კომპლექსის საწარმოო ობიექტების აღდგენის ღონისძიებანი.

აღინიშნა, რომ ამჟამად სოფლის რაიონებში მუშაობს 108 სამშენებლო რაზმი, იყენებენ 2,5 ათას ერთეულზე მეტ სხვადასხვა ტექნიკას, შექმნილია 600 ათასი კუბური მეტრი არამადნეული საშენი მასალების საწარმოო სიმძლავრეები, ამოქმედდა 120-ზე მეტი დიდი ბეტონსარეცი დანადგარი. ამის შედეგად საექსპლოატაციოდ გადაეცა თითქმის ექვსათასი კვადრატული მეტრი საცხოვრებელი, 5.220 ადგილისათვის გათვალისწინებული სკოლა და დროებითი საბავშვო ბაღები. გრაფიკის გასწრებით შრომობენ უკრაინისა და უზბეკეთის სახაგრომრეწვების ქვეგანაყოფები ამასიის, ახურიანის, გუკასიანის რაიონებში, კრასნოდარის მხარის აგრომრეწვკომიტეტები ქვეგანაყოფები სპიტაკში.

ამავე დროს, ითქვა თათბირზე, მეტ წილ ობიექტებში სიტუაცია დაძაბულია, ხოლო აღსადგენი საშუშაოების ტემპი აშკარად არ კმარა. ხუთი თვის მანძილზე შესრულების მოცულობა შეადგენს 127 მილიონ მანეთს, ანუ წლიური გეგმის 26,4 პროცენტს.

განსაკუთრებით შემაშფოთებელია ის გარემოება, რომ ვლინდება შემკვეთთა და მოიჯარეთა, დამპროექტებელთა და მთავარი სამმართველოების არაორგანიზებულობა და მოუქნელობა ზაფხულის საუკეთესო ამინდის პირობებში. მწვავედ გაკრიტიკეს ლატვიის, თურქმენეთის, ესტონეთის სს რესპუბლიკების, რუსეთის სფსრ რესპუბლიკის და ყაზახეთის მთელი რიგი ოლქების აგროსამშენებლო რაზმები. ჩამორჩენის მთავარი მიზეზებია მუშახელის, ტექნიკური რესურსების, ქვის, ცემენტის და ხე-ტყის ნაკლებობა. არადამაკმაყოფილებელი მდგომარეობა შეიქმნა ინდივიდუალური მშენებლობისათვის, ძალების „გამოყოფასთან დაკავშირებით, ოუმცა ამის შესახებ ბევრჯერ, ე. ი. ოთხჯერ ითქვა ადრეადაც.

კომისიამ შესაბამისი უწყებების ხელმძღვანელები გააფრთხილა, რომ მათ პერსონალური პასუხისმგებლობა ეკისრებათ სოფლად მშენებლობის მიმდინარეობის ძირეული გაუმჯობესებისათვის. სსრ კავშირის წყალთა მეურნეობის, ენერგეტიკის, გაზის მრეწველობის სამინისტროებსა და სომხეთის სსრ მინისტრთა საბჭოს წინადადება მიეცათ დაუყოვნებლივ შეიმუშაონ და დაამტკიცონ წყალმომარაგების, კანალიზაციის, გაზიფიკაციის, ენერგეტიკის ობიექტების აღდგენის სამუშაოთა გრაფიკი და ამის შესახებ მოახსენონ სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს კომისიას. მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებმა სასწრაფოდ უნდა გადაწყვიტონ სომხეთში ტუფის ალტერნატიული საკედლე მასალების გამოყენებისა და მიწოდების საკითხები, რომლებსაც იყენებენ საცხოვრებლებისა და სოციალურ-ყოფის ობიექტების მშენებლობისას.

კომისიის მუშაობაში მონაწილეობდნენ სომხეთის სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე გ. მ. ვოსკანიანი და რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ვ. ს. მარკარიანცი.

(საკდსინ).

სახალხო მეურნეობა: რადიკალური რეფორმა

საწარმოც იგებს და მუშაც

თბილისი მაუდ-კამოლის კომბინატის „საბჭოთა საქართველოს“ მშრომელთა ბოლოდროინდელი სამეანობა ერთ-ერთი ნათელი დადასტურებაა იმისა, თუ მართლაც როგორ სულზე მოუსწრო სამრეწველო საწარმოთა უმეტესობას გარდაქმნამ და ახალმა ეკონომიკურმა აზროვნებამ, რამაც მათ სამეურნეო დამოუკიდებლობისა და შემოქმედებითი მუშაობის პირობები შეუქმნა.

ერთ დროს სახელგანთქმული ეს კომბინატი 80-იანი წლების დასაწყისისათვის თითქმის გაკოტრების პირამდე იყო მისული. 1985 წლისათვის მისმა ზარალმა 1.256 ათასი მანეთი შეადგინა, ხოლო სახელმწიფო ბანკის ვადაგადაცილებულმა სესხმა 35 მილიონს მიაღწია. 1986 წლიდან კი, როდესაც სამეურნეო მექანიზმი ფართო ეკონომიკური ექსპერიმენტის პრინციპით ამოქმედდა, შედეგები მნიშვნელოვნად გაუჯობესდა. ბოლო სამი წლის მანძილზე კომბინატის კოლექტივმა შესძლო თვითანაზღაურებასა და თვითდაფინანსებაზე გადასვლა. თუ, მაგალითად, 1985 წელს კომბინატმა საბრუნავი სახსრების შევსებისათვის სახელმწიფო ბიუჯეტიდან და რესპუბლიკის მსუბუქი მრეწველობის სამინისტროდან 3,8 მილიონი მანეთი მიიღო, უკვე 1987 წელს მას არა მარტო არ დასჭირვებია ასეთი დახმარება, არამედ, პირიქით, სახელმწიფო ბიუჯეტში 805 ათასი მანეთი გადარიცხა.

ყველაფერი ეს, ცხადია, თავისთან არ მოსულა. საამისოდ ბევრი რამ გაკეთდა წარმოების მოცულობის ზრდისა და კომერციული საქმიანობის გაფართოების, უკეთესი საბოლოო შედეგების მოპოვებისათვის შრომითი კოლექტივის წევრთა დაინტერესების, პროდუქციის განახლებისა და კონკურენტუნარიანი ნაწარმის შექმნისათვის და სხვ. ყოველივე ამას კი წინ უძღოდა სერიოზული მოსამზადებელი მუშაობა, რომელიც ორი ძირითადი მიმართულებით წარიმართა. პირველი შეეხო მართვის სრულყოფას, დაგეგმვის გაუჯობესებასა და მუშაკთა მატერიალური წახალისების გაძლიერებას, მეორე კი მატერიალურ-ტექნიკური ბაზის განმტკიცებასა და ტექნოლოგიური პროცესების სრულყოფას. ამ სამუშაოებს აკოორდინირებდა სპეციალური სამუშაო ჯგუფი.

კომბინატის საწარმოო და სამეურნეო საქმიანობის შედეგებზე ერთობ დადებითად იმოქმედა ტექნიკისა და ტექნოლოგიის სრულყოფამ. სამმილოდ უკვე ბევრი რამ გაკეთდა, მაგრამ ეს სამუშაოები დღესაც გრძელდება. გათვალისწინებულია მიმდინარე ხუთწლედის ბოლოსათვის ახალი ტექნიკის დანერგვის საქმეს მოხმარდეს 5 მილიონ მანეთზე მეტი. ამჟამად კომბინატში მიმდინარეობს შრომატევადი სამუშაოების კომპლექსური მექანიზაცია.

მიმდინარე წლიდან კომბინატი სამეურნეო ანგარიშის მეორე მოდელით მუშაობს. ამ ფორმით მუშაობისას კი საწარმოში მეურნეობრიობის სრულყოფის საუკეთესო საშუალებად შრომის ორგანიზაციისა და მატერიალური სტიმულირების ახლებური, ბრიგადული ფორმა მიიჩნიეს. ამან კიდევ უფრო დახვეწილი სახე მიიღო წარმოების მასშტაბით (კომბინატში 4 ძირითადი წარმოებაა) სადაც სანარდო იჯარის მეთოდით მუშაობენ. თითოეულ მათგანს ოჯეგებისათვის შრომითი კოლექტივის წევრთა დაინტერესების, პროდუქციის განახლებისა და კონკურენტუნარიანი ნაწარმის შექმნისათვის და სხვ. ყოველივე ამას კი წინ უძღოდა სერიოზული მოსამზადებელი მუშაობა, რომელიც ორი ძირითადი მიმართულებით წარიმართა. პირველი შეეხო მართვის სრულყოფას, დაგეგმვის გაუჯობესებასა და მუშაკთა მატერიალური წახალისების გაძლიერებას, მეორე კი მატერიალურ-ტექნიკური ბაზის განმტკიცებასა და ტექნოლოგიური პროცესების სრულყოფას. ამ სამუშაოებს აკოორდინირებდა სპეციალური სამუშაო ჯგუფი.

კომბინატის საწარმოო და სამეურნეო საქმიანობის შედეგებზე ერთობ დადებითად იმოქმედა ტექნიკისა და ტექნოლოგიის სრულყოფამ. სამმილოდ უკვე ბევრი რამ გაკეთდა, მაგრამ ეს სამუშაოები დღესაც გრძელდება. გათვალისწინებულია მიმდინარე ხუთწლედის ბოლოსათვის ახალი ტექნიკის დანერგვის საქმეს მოხმარდეს 5 მილიონ მანეთზე მეტი. ამჟამად კომბინატში მიმდინარეობს შრომატევადი სამუშაოების კომპლექსური მექანიზაცია.

მიმდინარე წლიდან კომბინატი სამეურნეო ანგარიშის მეორე მოდელით მუშაობს. ამ ფორმით მუშაობისას კი საწარმოში მეურნეობრიობის სრულყოფის საუკეთესო საშუალებად შრომის ორგანიზაციისა და მატერიალური სტიმულირების ახლებური, ბრიგადული ფორმა მიიჩნიეს. ამან კიდევ უფრო დახვეწილი სახე მიიღო წარმოების მასშტაბით (კომბინატში 4 ძირითადი წარმოებაა) სადაც სანარდო იჯარის მეთოდით მუშაობენ. თითოეულ მათგანს გამოყოფილი აქვს სათანადო ფონდები ნორმატივების გათვალისწინებით, შექმნილია შრომის ანაზღაურების ერთიანი ფონდი. წარმოებასა და ადმინისტრაციას შორის საქმიანი ურთიერთობა შიდასაწარმოო ხელშეკრულებებით ხორციელდება...

კომბინატელთა ბოლოდროინდელი თვალსაჩინო წარმატებები, მუშაობის კონკრეტული ფორმებისა და მეთოდების ანალიზი ცალკე მსჯელობის საგანია. ამჯერად კი მხოლოდ იმას აღვნიშნავთ, რომ ისინი წლეულსაც კარგად ირჯებიან, წარმატებით შეასრულეს ხუთი თვის საგეგმო დავალებები. განუხრელად უმჯობესდება საწარმოს მშრომელთა მუშაობისა და ყოფა-ცხოვრების ხარისხი, იზრდება შრომის ანაზღაურება. თუ 1985 წელს აქაური მუშა თვეში საშუალოდ 203 მანეთს ღებულობდა, ახლა მისი ხელფასი 300 მანეთია. კომბინატში შექმნილია ერთდროული დახმარების საპენსიო ფონდი, შვებულებიდან დაბრუნებულთ უფრეფენ ფულად დახმარებას, მშრომელთა სამმილაოელო გადასახადის 50 პროცენტს კომბინატი იხდის, ძირითადი უნნების მუშა-მოსამსახურეებისა და ფეხმძიმეთათვის დაწესებულია უფასო კვება და სხვ. ასე რომ, ახლებური, პასუხისმგებლური და შემოქმედებითი შრომით საწარმოც იგებს და მუშაც.

რუსლან რუსია.

• • •

სურათზე: კომბინატის მოწინავე ოპერატორი ვალია ჯერანაშვილი.

დავით იაკობაშვილის („კომუნისტის“) ფოტო.

ინტეგრაცია საიჯარო საწყისებზე

თბილისი რაიონის საზოგადოებრივ მეურნეობებში წლების მანძილზე მდგომარეობა სულ უფრო უარესდებოდა. ისინი თითქმის ამოტაკდნენ

ქართული მუსიკა დამოუკიდებლობის ხანაში

საქართველოს დამოუკიდებლობის ხანმოკლე, მაგრამ ერის ცნობიერებაში დაუვიწყარი პერიოდი აღსავსე იყო მთელი რიგი ღირსშესანიშნავი მოვლენებით საზოგადოებისა, კულტურული და შემოქმედებითი ცხოვრების ყველა სფეროში. ამ მხრივ გამონაკლისი არ ყოფილა არც მუსიკალური ხელოვნება. მეტიც, შეიძლება ითქვას, არასდროს მანამდე ჩვენში არ შექმნილა ასეთი მხატვრული ღირებულებანი პროფესიული მუსიკალური შემოქმედების სფეროში, კერძოდ, მხედველობაში მაქვს ის ჟეშმარიტად „ოქროს წელი“ — 1919, როდესაც თბილისის საოპერო თეატრის სცენაზე ზედიზედ დაიდგა 3 კლასიკური ქართული ოპერა: დ. არაყიშვილის „თქმულება შოთა რუსთაველზე“, ზ. ფალიაშვილის „აბესალომ და ეთერი“ და ვ. დოლიძის „ქეთო და კოტე“. დღესაც კი, როდესაც ქართულ მუსიკას, სრულიად საქართველოსნად, დიდი ავტორიტეტი აქვს და ჩვენი კომპოზიტორების მიღწევები ფართოდ არის აღიარებული, „1919 წლის ფენომენი“ განუმეორებელ მოვლენად, თუ ნებავთ, თავისებურ საოცრებად რჩება ჩვენს სამუსიკო ბატიანში.

რა იყო ეს? უბრალო შემთხვევითობა — სამი მაღალნიჭიერი შემოქმედის (ხოვრების პარადოქსების გადაკვეთა მათს უმაღლეს აპოგეურ წერტილებში, საუკუნეებიანი ჩაგვრისაგან განთავისუფლებული ხალხის სულიერი შემოქმედებითი ენერგიის მძლავრი ამოფრქვევა თუ უცილობელი ისტორიული კანონზომიერება? — ქართველი ხალხი ხომ გრანდიოზული სოციალური ძვრების ეპოქას შეხვდა ერის გენეტიკურ კოდში ჩაწერილი, მძლავრად აკუმულირებული მუსიკალური ნიჭიერების უდიდესი მარაგით, ხალხის კოლექტიური გენიით შექმნილი მემკვიდრეობით, რაც, ადრე თუ გვიან, კანონზომიერად უნდა ტრანსფორმირებულიყო ინდივიდუალური შემოქმედების ფორმებში!

თქმა არ უნდა, ჯერ კიდევ 1919 წლამდე ქართული მუსიკა უკვე ითვლიდა მრავალ შესანიშნავ ნაწარმოებს, რომლებიც შეიყვარა და დაიფასა ქართველმა ხალხმა! მელიტონ ბალანჩივაძის რომანსებსა და ნაწყვეტებს პირველი ქართული ოპერიდან — „დარეჯანი ბეიერი“, დ. არაყიშვილის რომანსებს, ადრე გარდაცვლილი უნიჭიერესი ნიკო სულხანიშვილის გუნდებს და ზოგიერთ სხვას. მაგრამ უდავოა, რომ სწორედ 1919-ში გამობრწყინდა ნაწარმოებები, რომლებიც თამამად შეიძლება გავიტანოთ ნებისმიერ წარმოსახვით მსოფლიო მუსიკალურ კონკურსზე (უწინარესად „აბესალომ და ეთერი“, აგრეთვე „ქეთო და კოტე“).

რამდენიმე წლის შემდეგ დ. არაყიშვილის სიტყვები: „საუკუნეთა სიღრმიდან ჩვენ გამოვედით ჰორიზონტზე, და, იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ იქიდან აღარ ჩავალთო“, — მოწმობს, რომ თანამედროვეებს კარგად ჰქონდათ შეგნებული 1919 წლის ღირსსახსოვარი პრემიერების ისტორიული მნიშვნელობა.

ცხადია, არაყიშვილის, ფალიაშვილის და დოლიძის კლასიკური ოპერები საქართველოს დამოუკიდებლობის ხანის უმთავრესი მხატვრული მონაპოვარია და ჩვენ ამ საკითხს კიდევ დავუბრუნდებით, მაგრამ ეს პერიოდი აღინიშნა მთელი რიგი სხვა ღირსშესანიშნავი კულტურულ-საგანმანათლებლო და საზოგადოებრივი ხასიათის სიახლეებითაც, რომელთა მნიშვნელობის გადაჭარბებით შეფასება შეუძლებელია. მათ შორის ერთ-ერთი უმთავრესია თბილისის სახელმწიფო კონსერვატორიის დაარსება.

კონსერვატორიის „დაბადების დღეა“ 1917 წლის 1 მაისი და, ამდენად, იგი უხნესია საქართველოს უმაღლეს სასწავლებელთა შორის. ფორმალურად, მართალია, ეს თარიღი წინ უსწრებს საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის გამოცხადებას, მაგრამ, ფაქტობრივად, თებერვლის რევოლუციის შემდეგ საქართველო უკვე შემდგარი იყო დამოუკიდებლობის გზაზე და კონსერვატორიის დაარსება ამის ლოგიკური შედეგი გახდა.

კონსერვატორიის სათავეებთან იდგნენ გამოჩენილი კომპოზიტორები: ზ. ფალიაშვილი, დ. არაყიშვილი, ცნობილი მუსიკოსები ა. თუქაშვილი, ა. ვირსალაძე, ო. ბახუტაშვილი-შულგინა, ე. ვრონსკი, ვ. ვილშუა და სხვები. პირველი რექტორი იყო ნ. ნიკოლაევი, პირველი ქართველი რექტორი კი — ზ. ფალიაშვილი, რომელიც რამდენიმე წლის შემდეგ ჩაუდგა სათავეში კონსერვატორიას.

1919 წელს დ. არაყიშვილისა და დირიჟორ ს. ტტოლერმანის თაოსნობით თბილისში ჩამოყალიბდა ქართული საოპერო სტუდია, რომელიც მიზნად ისახავდა სტუდენტთა ვოკალურ და სცენურ მომზადებას ქართულ საოპერო დასში გამოსასვლელად. სტუდიასთან შეიქმნა საგუნდო კაპელაც, რომელიც ხალხური მუსიკისა და ქართველ კომპოზიტორთა ნაწარმოებების პროპაგანდას ეწეოდა. სტუდიამ თავიის ძალებით დადგა „თქმულება შოთა რუსთაველზე“, „აბესალომ და ეთერის“ ნაწყვეტები და სხვა ნაწარმოებები, რომლებსაც თბილისსა და საქართველოს სხვა ქალაქებში ასრულებდნენ.

1917 წლის გაზაფხულზე, რუსეთში 28 წლის მანძილზე ცხოვრების შემდეგ, საქართველოში დაბრუნდა მელიტონ ბალანჩივაძე. მშობლიურ ქუთაისში მან სამუსიკო სასწავლებლის დაარსება განიზრახა. ამ იდეას, რომელიც თავიდან განუხორციელებელი ჩანდა, მალე შეესახა ფრთები. 1919 წლის 2 თებერვალს საზეიმოდ გაიხსნა ქუთაისის სამუსიკო სასწავლებელი — ჩვენი რესპუბლიკის მუსიკალური აღზრდის ცნობილი კერა, რომელიც ამჟამად მისი დაარსებლის მ. ბალანჩივაძის სახელობისაა.

საქართველოში ბრუნდება კიდევ ერთი გამოჩენილი კომპოზიტორი და დაუცხრომელი საზოგადო მოღვაწე დ. არაყიშვილი, რომელსაც ფართო გასაქანი ეძლევა შემოქმედებითი და საგანმანათლებლო მუშაობისათვის. როდესაც 1918 წლის ზაფხულში დაარსდა „ქართული სამუსიკო საზოგადოება“, რომელსაც გადაეცა მანამდე არსებული „ფილარმონიული საზოგადოების“ სამუსიკო სკოლა, მის დირექტორად დ. არაყიშვილი დაინიშნა. მისი თაოსნობით სკოლას 1919 წლიდან სასწავლებლის სტატუსი მიენიჭა.

ჯალიშიანი დამოუკიდებელ რესპუბლიკას თავისი მუსიკალური ემბლემა — ჰმნი ესაჭიროებოდა. სწორედ იმხანად (1918 წელს) ნ. სულხანიშვილმა დაწერა თავისი უკანასკნელი ნაწარმოები, საგუნდო მუსიკის შედევრი „ღმერთო, ღმერთო“, რომელსაც ქართული საოპერო თეატრის სცენაზე ა. ფალიაშვილი, დ. არაყიშვილი, ცნობილი მუსიკოსები სცენაზე, მრავალრიცხოვან კონცერტებზე საქართველოს სხვადასხვა ქალაქში, დღესასწაულად იქცეოდა ხოლმე. ვანო მხარში ამოუდგნენ ო. ბახუტაშვილი-შულგინა და ს. ინაშვილი, რომელნიც მასთან ერთად სამართლიანად ითვლებიან ქართული ვოკალური სკოლის ფუძემდებლებად. სანდრო ინაშვილი კი თბილისელ მუსიკისმოყვარეულთა ნამდვილ კერპად იქცა.

ერთი მივიწყებული ფაქტის შესახებ. 1917-1918 წლების სეზონში თბილისში ე. წ. „ქართულ კლუბთან“ ჩამოყალიბდა საოპერო დასი, რომლის მთავარი მიზანი იყო ეროვნული რეპერტუარის შექმნა და პროპაგანდა. სწორედ ამ დასმა თავის სცენაზე 1918 წლის 21 მაისს დადგა ახალგაზრდა კომპოზიტორის რ. გოგნიაშვილის ოპერა „ქრისტინე“ (ამ სპექტაკლში მონაწილეობდა ვ. სარაჯიშვილი), რომელიც 17 ივნისს საოპერო თეატრის სცენაზე განმეორდა. უცნაური ბედი ეწია ამ ოპერას. უკვალოდ გაქრა მთელი მისი სანოტო მასალა და ჩვენ არა გვაქვს საშუალება ვიმსჯელოთ მისი მუსიკის ავკარგიანობაზე, მაგრამ ფაქტია, რომ ეს იყო სცენაზე სრული სახით წარმოდგენილი პირველი ქართული ოპერა.

1918 წლიდან თეატრში მუშაობას იწყებს გამოჩენილი საოპერო რეჟისორი ა. წუწუნავა. აქ არ გვაქვს საშუალება შეეჩერდეთ მის დამსახურებაზე. ვიტყვით მხოლოდ, რომ იგი იყო მსოფლიო კლასიკური ოპერების ქართულ ენაზე დადგმის აქტიური მომხრე და კიდევ ახორციელებდა ამას თავის რეჟისორულ პრაქტიკაში. ხაზს ვუსვამ ამ გარემოებას იმის გამო, რომ კლასიკური ოპერების ქართულ ენაზე დადგმა დღესაც აქტუალური ამოცანაა.

როგორც ცნობილია, ქართული ბალეტის ისტორია 30-იანი წლებიდან იწყება, მაგრამ მას თავისი საინტერესო „პრეისტორიაც“ აქვს. მხედველობაში გვაქვს თამარ ვახვახიშვილის ბალეტები და პანტომიმები, რომელთა პირველი ნიმუშები სწორედ ამ ხანებში — 1920 წელს იქმნება. ასეთებია ერთაქტიანი ბალეტები „ბახუსის დღესასწაული“ და „სიყვარულის წამალი“.

მაგრამ ცხადია, დამოუკიდებლობის ხანის მუსიკალურ ცხოვრებაში ცენტრალური ადგილი მაინც დ. არაყიშვილის, ზ. ფალიაშვილისა და ვ. დოლიძის კლასიკური ოპერების სცენაზე დადგმას უკავია.

... შოთა რუსთაველზე ოპერის შექმნის სურვილი დ. არაყიშვილს ჯერ კიდევ 1910 წელს დაებადა. 3 წლის შემდეგ შესრულდა ოპერის ნაწყვეტები. პრემიერა კი გაიმართა რამდენიმე წლის შემდეგ — 1919 წლის 5 თებერვალს. სპექტაკლში მონაწილეობდნენ შესანიშნავი მომღერლები: ვანო სარაჯიშვილი, ოლღა ბახუტაშვილი-შულგინა, სანდრო ინაშვილი და სხვები. დადგმა ა. წუწუნავას ეკუთვნოდა, დირიჟორობდა ს. სტოლერმანი. სპექტაკლმა დიდი წარმატებით, პატრიოტული განწყობილების ნიშნით ჩაიარა. ცნობილი მუსიკოსი და საზოგადო მოღვაწე ზ. ჩხიკვაძე წერდა: „5 თებერვლის საღამო ეროვნულ დღესასწაულად იქცა, რადგან პირველად ახდა სახეკვარი ოცნება: ჩვენ მოვისმინეთ ქართულ ეროვნულ ინტონაციაზე აგებული, დასრულებული ქართული ოპერა“.

სამწუხაროდ, ლიბრეტოს დრამატურგიული ხარვეზების გამო არაყიშვილის ოპერა ვერ დამკვიდრდა სცენაზე, მაგრამ საუკეთესო მუსიკალური ნომრები, როგორიცაა თამარის კავატინა, ურმული, აბდულ-არაბის არიოზო და სხვები, ფართოდ გავრცელდა მუსიკის მელოდიურობის და ლირიკულობის გამომსახველობის წყალობით.

ძნელი დასაჯერებელია, მაგრამ უკვე ორი კვირის შემდეგ — 1919 წლის 21 თებერვალს სცენაზე აღდერდა „აბესალომ და ეთერის“ უკვდავი მუსიკა — ქართული საოპერო ხელოვნების მწვერვალი!

ვადაუჭარბებლად შეიძლება ითქვას, რომ არც ერთ პრემიერას ქართული მუსიკის ისტორიაში არ ელოდნენ ასე მოუთმენლად. რამდენიმე წლის წინათ საკონცერტო შესრულებით ქართველ საზოგადოებრიობას მოსმენილი ჰქონდა ოპერის ნაწყვეტები, რომელებსაც არაჩვეულებრივი წარმატება ხვდათ.

აშკარად ჩანდა, რომ დიდი ილიას სურვილი, გამოთქმული ლადო აღნიაშვილის გუნდის მოსმენის შემდეგ (1886 წ.) — „ნუთუ კარგი არ იქნებოდა, რომ ჩვენმა დრამატულმა დასმა ეს ახალი საქმე, ხოროთი გალობა ქართულის ხმებისა, ზედ დადაბას წარმოდგენებსა!“ (ეროვნული ოპერის იდეა) დღეს თუ ხვალ რეალობად იქცეოდა. ეს დროც დადგა. პრემიერაზე ნემსი არ ჩავარდებოდა. დარბაზში თავი მოეყარათ ქართველი ინტელიგენციის საუკეთესო წარმომადგენლებს.

რეჟისორად აღჭურვადაც ა. წუწუნავა მოგვევლინა. სადირიჟორო პულტთან კი ადგილი თვით ავტორმა — ზ. ფალიაშვილმა დიაკავა, რომელსაც აღფრთოვანებით შეხვდნენ დარბაზი და სპექტაკლის მონაწილენი. როლებს ასრულებდნენ: ბ. ზალიპსკი (აბესალომი), ო. ბახუტაშვილი-შულგინა (ეთერი), ს. ინაშვილი (მურმანი).

ამავე ჟურნალის 1964 წლის №9-17-18 ტომში დაიბეჭდა ი. მეგრელიძის წერილის „ნიკო მარის ცხოვრების მთავარი ეტაპების“ ფრანგული თარგმანი. ამავე ჟურნალის „ფურცლებზე“ დაიბეჭდა ი. მეგრელიძის სხვა ნაშრომებიც: „დიონისეს კულტის წარმოშობისა და სიტყვა ღვინის შესახებ“, „დავით აღმაშენებლის ეპიტაფია“, „თამარ მეფის ეპიტაფია“ და „ახალი ცნობები დავით სოსლანზე“.

აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ ი. მეგრელიძის წიგნს „რუსთაველი და ფოლკლორი“ მაღალ შეფასებას აძლევს საზღვარგარეთ მოღვაწე ქართველი მეცნიერი მ. წერეთელი, რომელიც წერს: „ი. მეგრელიძის ნაშრომი „რუსთაველი და ფოლკლორი“ დიდი მეცნიერული ღირებულების წიგნია. იგი აღსავსეა შინაარსით, მასში ჩანს ჩვენი ავტორის ღრმა ჩანაფიქრი, დაწერილია საკვლევი ობიექტის ღრმა ცოდნით. როცა კითხულობთ წიგნს, იგი ჩვენ გვაფიქრებს რუსთაველზე და მის უკვდავ პოემაზე („რევიუ დე კარტველოლოჟი“, ტ. 8-9, 1960.)

ამავე წიგნზე დადებითი რეცენზია დაიბეჭდა აგრეთვე უნგრეთის მეცნიერებათა აკადემიის ჟურნალში „ეთნოგრაფია“ (№3, 1961.) გამოჩენილი უნგრელი ფოლკლორისტი პროფესორი მარტონ იშტვანოვიჩი წიგნს მაღალ შეფასებას აძლევს.

გამოხმაურება პოვა აგრეთვე იური მარისა და ი. მეგრელიძის წიგნმა, რომელიც მიჩნეულია სახელმძღვანელოდ აღმოსავლურ შრიფტებზე. ფრანგულმა ჟურნალმა „რევიუ დე კარტველოლოჟიმ“ მას 1965 წელს მიუძღვნა სპეციალური რეცენზია, აღნიშნულია, რომ ორიენტალისტები ამ სახელმძღვანელოს სამაგიდო წიგნად მიიჩნევენ და მის ავტორებს მადლობას უძღვნიან.

80 წლის პროფესორი დღესაც ჭაბუკური შემართებით მუშაობს. აქტიურად მოღვაწეობს პრესაში, სისტემატურად კითხულობს საჯარო ლექციებს საზოგადოება „ცოდნის“ ხაზით, ყველა პატივს სცემს, როგორც მეცნიერსა და მამულიშვილს, რომელსაც დიდი ღვაწლი მიუძღვის ქართული კულტურის კვლევისა და მისი საზღვარგარეთის ქვეყნებში პოპულარიზაციის საქმეში.

სერგო თუარნავა.

სახელმწიფო კომისია მუშაობს

16 ივნისს შედგა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს ქალაქ თბილისში 1989 წ. 9 აპრილს მომხდარი ამბების გარემოებათა გამომკვლევი კომისიის მორიგი სხდომა. იგი ფაქტობრივად თვენახევარია მუშაობს და უკვე ხელთა აქვს ყველა ქვეკომისიის დასკვნა. ამ დასკვნებს უკანასკნელი კორექტივები სჭირდება, რომ საბოლოო სახე მიეცეთ და სსრ კავშირის სახალხო დეპუტატთა პირველი ყრილობის მიერ შექმნილ საგანგებო კომისიას წარუდგინონ. ახლადშექმნილი კომისია ამჯერად მუშაობს ჩვენი ქვეყნის დედაქალაქ მოსკოვში, რომ იქ გაეცნოს, ასე ვთქვათ, ზედა ეშელონის, ცენტრის მასალებს. შემდეგ კი ისინი თბილისში განაგრძობენ საქმიანობას. სახალხო დეპუტატთა კომისიის წევრს ელდარ შენგელაიას, თამაზ შავგულიძესთან საუბარში გამოუთქვამს აზრი, რომ ახლადშექმნილი კომისია საწყის ორიენტირად უთუოდ ჩვენი კომისიის დასკვნებს აიღებს.

როგორც ქიმიურ-საექსპერტო ქვეკომისიის უფროსმა მალხაზ ზალიშვილმა სხდომაზე განაცხადა, ამერიკელი მეცნიერის ბარი რუმექის გამოთქმული ვარაუდი დამტკიცდა, — გამოყენებული იყო კიდევ ერთი მომწამვლელი ქიმიური ნივთიერება ქლორპიკრინი. მხოლოდ უნივერსიტეტის ქრომატო-მას-სპექტრულ ცენტრში კი არა, რესპუბლიკის სანიტარიულ-ქიმიურ ლაბორატორიაში სამხედრო ექსპერტების მიერ ერთხანს უადგილადდებულ ნიადაგის სინჯებში აღმოაჩინეს მისი შემცველობა. თავად ეს სინჯები ქიმიური ნივთიერების გამოყენებიდან ერთი თვის შემდეგ იყო აღებული და კიდევ თითქმის ერთი თვის შემდეგ გაკეთდა მათი ანალიზი. ეს კი იმას ნიშნავს, რომ ქლორპიკრინი დიდი რაოდენობით იყო გამოყენებული.

კომისიის თავმჯდომარის მოადგილემ ვახტანგ ფიფიამ დაკონებით მოითხოვა გაერკვიათ, რამდენად დამაჯერებელი იქნება სამედიცინო კომისიის დასკვნები, მით უფრო, რომ სასამართლო-სამედიცინო ექსპერტიზა ერთობ ორჭოფულ დასკვნებს იძლევაო. ამ ეჭვის გამო, საჭირო გახდა კომისიის სხდომაზე დაუყოვნებლივ მოეწვიათ სამედიცინო-საექსპერტო ქვეკომისიის წევრები: ბეძინა ნანეიშვილი, ნინო ჯავახიშვილი, გელა ლეკავა, თამარ დეკანოსიძე და რესპუბლიკის მთავარი სასამართლო-სამედიცინო ექსპერტი ზაზა ოქროაშვილი. მთავარი ექსპერტის სიტყვებმა (მას ეთანხმებოდა საექსპერტო-სამედიცინო ქვეკომისიის სხდომაზე მოსული ყველა წევრი) დამშვრეთ ყოველგვარი ეჭვი გაუფანტა, დაარწმუნა ისინი, რომ სასამართლო-სამედიცინო ექსპერტიზის ყოველი დასკვნა მაღალკვალიფიციურად, ობიექტურად და კეთილსინდისიერად არის გაკეთებული. ითქვა, რომ ჩატარებულია არამატო 17 გვამის ექსპერტიზა, არამედ გამოკვლეულია 150 პირი, (მათ შორის, მეტწილად დაზიანებული მილიციელები) და თითოეულ მათგანზეც არსებობს ექსპერტიზის დასკვნა, რაც მნიშვნელოვანი ბრალდებაა 9 აპრილის ტრაგედიის დამნაშავეთათვის. თუმცა, ზაზა ოქროაშვილს არც ის დაუმალავს, რომ, რამდენადაც მან იცის, სამხედრო-სასამართლო ექსპერტიზა რადიკალურად განსხვავებულ შეფასებას აძლევს იგივეს. მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ სამხედრო-სასამართლო ექსპერტიზას უფლება აქვს უარყოს ჩვენი ექსპერტიზის დასკვნები.

საგამოძიებო ქვეკომისიის წევრმა თედო ნინოძემ კომისიის მოახსენა მიმდინარე წლის 18 თებერვალს პოლიტექნიკური ინსტიტუტის წინ არასანქცირებული მიტინგის აღკვეთის დროს მომხდარი სამართლებრივი ფაქტის გამოძიების მიმდინარეობის შესახებ. დასვა საკითხი ა. იმნაძისა და თ. ქორძიის მიმართ ფიზიკური ძალადობის გამოყენების ფაქტის გამოძიების შესახებ, რომელიც მომხსენებლის აზრით, ერთგვარი ანალოგების დაძებნის საფუძველს იძლევა და ითხოვს ჯეროვან განზოგადებას.

კომისიის სხდომამ მოისმინა აგრეთვე საინფორმაციო ქვეკომისიის თავმჯდომარის რეზო ჩხეიძის ზოგიერთი წინასწარი დასკვნა. მან დამშვრეთ წარუდგინა „იზვესტიის“ საკუთარი კორესპონდენტი ტატიანა ჭანტურია და „სოვეტსკაია კულტურის“ საკუთარი კორესპონდენტი ია მუხრანელი, რომლებმაც თავიანთი მოსაზრებები და ვარაუდები გააცნეს კომისიას. ამასთან დაკავშირებით ახალგაზრდების ჯგუფმა მოითხოვა, რომ ეს საკითხი უფრო დეტალურად განიხილონ. კომისიამ იმსჯელა და დააყენა საკითხი საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ბიუროს ზოგიერთი წევრის დაკავებული თანამდებობიდან გათავისუფლებისა და ბიუროს შემადგენლობიდან გაყვანის შესახებ. (როგორც ვიცით, 17 ივნისს გამართულმა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმმა გათავისუფლა ბ. ვ. ნიკოლსკი საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მეორე მდივნის და ბიუროს წევრის მოვალეობისაგან და გამოიაანა იგი ცენტრალური კომიტეტის წევრთა შემადგენლობიდან. რაც შეეხება სხვა პირებს, მათი საკითხი ახლო მომავალში დამატებით განიხილება).

მანანა კარტოზია.

ახალგაზრდობის სამაგალითოდ

● მეცნიერების დამსახურებულ მოღვაწეს, ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორს, რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტის ძველი ქართული ლიტერატურის მკვლევარს — პროფესორ იოსებ მეგრელიძეს დაბადების 80 და მეცნიერულ-პედაგოგიური მოღვაწეობის 60 წელი შეუსრულდა.

ი. მეგრელიძე ჯერ კიდევ სტუდენტობისას 1929-1931 წლებში ესწრებოდა საქართველოს საენათმეცნიერო და საისტორიო საზოგადოებების სხდომებს, ზაფხულობით მოგზაურობდა გურიაში, აჭარის სოფლებში და აგროვებდა დიალექტოლოგიურ-ფოლკლორულ-ეთნოგრაფიულ მასალებს, აწარმოებდა ისტორიულ სიძველეთა აღრიცხვა-შესწავლას. ეს გარემოება შეუმჩნეველი არ დარჩენია დიდ ქართველ მეცნიერს — ნიკო მარს, მისი შუამდგომლობით ი. მეგრელიძე 1931 წელს საქართველოს განათლების კომისარიატმა გაგზავნა ლენინგრადში, სადაც დასრულა სსრკ მეცნიერებათა აკადემიის ენისა და აზროვნების ინსტიტუტის განაგრძელებული ასპირანტურა 1935 წელს, აქვე დაიცვა ფილოლოგიის მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხი და ამავე ინსტიტუტში მუშაობდა 1939 წლამდე.

ახალგაზრდა მეცნიერი ათი წლის განმავლობაში თანამშრომლობდა ლენინგრადის გამოჩენილ მეცნიერებთან, ესენი იყვნენ: ნ. მარი, ი. მეშჩანინოვი, ე. კრაჩკოვსკი, ი. ორბელი, ვ. სტუვე, ვ. შიშმარიოვი, ი. ლუპოლი, ნ. დერჟავინი, გ. ბერტლესი, მწერალთაგან ა. ტოლსტოი, ნ. ტიხონოვი, ნ. ზაბოლოცკი, ბ. ბრიკი და სხვ.

600-მდე გამოკვლევა, წერილი, რეცენზია, პუბლიკაცია, რომელთაგან 24 ცალკე წიგნად გამოქვეყნდა, — აი 60-წლიანი ღვაწლის შედეგი. გარდა ამისა, ი. მეგრელიძეს შედგენილი და გამოცემული აქვს წინასიტყვაობით, შენიშვნებითა და კომენტარებით 32 მონოგრაფია და კრებული, რომელთა ავტორები არიან: ნ. მარი, ი. მარი, ი. ორბელი, ს. კაკაბაძე, ი. აბულაძე, მ. გოგებერიძე, კ. მეგრელიძე, ვ. ბერიძე, ს. იორდანიშვილი, ჯ. ნოღაიდელი. აქვე უნდა მივუთითოთ სამი კრებული სათაურით: „რჩეული რუსთველოლოგიური ლიტერატურა“.

ი. მეგრელიძის ნაშრომები აშუქებენ ქართული და ქართველური ენების, ქართული ლიტერატურის, რუსთველოლოგიის, ფოლკლორის, ეთნოგრაფიის, ეპიგრაფიკის რიგ პრობლემებს.

განსაკუთრებით აღსანიშნავია ის გარემოება, რომ სრულიად ახალგაზრდა მეცნიერს მიანდო ნიკო მარმა თავისი არქივის გამოცემა. და მანაც გამოაქვეყნა ქართველოლოგიისათვის უდიდესი მნიშვნელობის წიგნი „ნ. მარი, სინას მონასტრის ქართული ხელნაწერების აღწერილობა“, რომელიც მოპოვებულია 1902 წლის მაისის ექსპედიციის შედეგად. ეს წიგნი თავისი სირთულის გამო რვა წლის განმავლობაში იბეჭდებოდა მოსკოვ-ლენინგრადში (1932-1940). ქართველმა მკვლევარმა ლეონიდ ალანიამ „ლიახვის ხეობის წარწერები და სხვა სიძველეები“, 9 გამოკვლევა „ვეფხისტყაოსნის“ ლექსიკის საკითხებზე და ოთხი წერილი ქართული მითოლოგიის საკითხებზე.

ჭაბუკური შემართებით

მისმა წიგნმა „რუსთაველი და ფოლკლორი“, დიდი გამოხმაურება პოვა არა მარტო საბჭოთა კავშირში, არამედ ამერიკასა და საფრანგეთში. ფრანგულმა პრესამ ამ ნაშრომს დიდი მეცნიერული მნიშვნელობის წიგნი უწოდა, ხოლო საბჭოთა აკადემიკოსი ნ. კონრადი წერდა: „რაც ჩვენ დღეს რუსთაველის შესახებ ქართულ ფილოლოგიასთან კავშირში ვიცით, ეს ნიკო მარის წყალობითაა, ფილოსოფიასთან კავშირში შალვა ნუცუბიძის, ხოლო ფოლკლორთან კავშირში კი ი. მეგრელიძის მონოგრაფიის წყალობით“ („ალენა“, №5, 2 1965).

ლიტერატურის ინსტიტუტში აღ. ბარამიძის საერთო რედაქტორობით გამოდიოდა პერიოდული ბეჭდვითი ორგანო — „რუსთველოლოგიური ძიებანი“, რომლის სწავლული მდივანი ი. მეგრელიძე იყო, მასში 1960-1966 წლებში გამოიცა 12 ურთულესი წიგნი; ამის გაკეთება შეეძლო მხოლოდ დიდი ენერგიის, გამოცდილებისა და ერუდიციის მქონე მკვლევარს.

ი. მეგრელიძის ნაშრომები თარგმნილია რუსულ, უკრაინულ, სომხურ, პოლონურ, ფრანგულ, გერმანულ და სხვა ენებზე. მათ დიდი ინტერესით სწავლობენ საზღვარგარეთ მომუშავე ქართველოლოგები, იყენებენ თავიანთ ნაშრომებში, წერენ დადებით რეცენზიებს, მაგალითად, ფრანგული ჟურნალის „რევიუ დე კარტველოლოჟის“ 1960 წლის მე-8, მე-9 ტომში დაიბეჭდა ი. მეგრელიძის „დიდი წარღვნისა და ბრუტსაბრძელას შესახებ თქმულების უცნობი ვარიანტები“. როგორც ცნობილია, წარღვნის შესახებ არსებობს ჟ. ფრეზერის სპეციალური მონოგრაფია ინგლისურ ენაზე, იგი ითარგმნა რუსულად და გამოვიდა მოსკოვში 1931 წელს. ამ წიგნში დაბეჭდილია 300-მდე ვარიანტი დიდ წარღვნაზე ბიბლიური ლეგენდის მიხედვით. საზღვარგარეთის მეცნიერები მიუთითებენ, რომ ყველაზე მხატვრული და ლამაზი ი. მეგრელიძის მიერ აღმოჩენილი ლეგენდა, ბაზგასმით აღნიშნავენ, ეს ლეგენდები ქართველი ხალხის სისპეტაკეს გვიჩვენებს, სხვა ლეგენდები კი პორნოგრაფიული არისო.

ამავე ჟურნალის 1964 წლის №9-17-18 ტომში დაიბეჭდა ი. მეგრელიძის ნერილი „ნიკო მარის ცხოვრების მთავარი ეტაპების“ ფრანგული თარგმანი. ამავე ჟურნალის „ფურცლებზე“ დაიბეჭდა ი. მეგრელიძის სხვა ნაშრომებიც: „დიონისეს კულტის წარმოშობისა და სიტყვა ღვინის შესახებ“, „დავით აღმაშენებლის ეპიტაფია“, „თამარ მეფის ეპიტაფია“ და „ახალი ცნობები დავით სოსლანზე“.

აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ ი. მეგრელიძის წიგნს „რუსთაველი და ფოლკლორი“ მაღალ შეფასებას აძლევს საზღვარგარეთ მოღვაწე ქართველი მეცნიერი მ. წერეთელი, რომელიც წერს: „ი. მეგრელიძის ნაშრომი „რუსთაველი და ფოლკლორი“ დიდი მეცნიერული ღირებულების წიგნია. იგი აღსავსეა შინაარსით, მასში ჩანს ჩვენი ავტორის ღრმა ჩანაფიქრი, დაწერილია საკვლევი ობიექტის ღრმა ცოდნით. როცა კითხულობთ წიგნს, იგი ჩვენ გვაფიქრებს რუსთაველზე და მის უკვდავ პოემაზე („რევიუ დე კარტველოლოჟი“, ტ. 8-9, 1960.)

ამავე წიგნზე დადებითი რეცენზია დაიბეჭდა აგრეთვე უნგრეთის მეცნიერებათა აკადემიის ჟურნალში „ეთნოგრაფია“ (№3, 1961.) გამოჩენილი უნგრელი ფოლკლორისტი პროფესორი მარტონ იშტვანოვიჩი წიგნს მაღალ შეფასებას აძლევს.

გამოხმაურება პოვა აგრეთვე იური მარისა და ი. მეგრელიძის წიგნმა, რომელიც მიჩნეულია სახელმძღვანელოდ აღმოსავლურ შრიფტებზე. ფრანგულმა ჟურნალმა „რევიუ დე კარტველოლოჟიმ“ მას 1965 წელს მიუძღვნა სპეციალური რეცენზია, აღნიშნულია, რომ ორიენტალისტები ამ სახელმძღვანელოს სამაგიდო წიგნად მიიჩნევენ და მის ავტორებს მადლობას უძღვნიან.

80 წლის პროფესორი დღესაც ჭაბუკური შემართებით მუშაობს. აქტიურად მოღვაწეობს პრესაში, სისტემატურად კითხულობს საჯარო ლექციებს საზოგადოება „ცოდნის“ ხაზით, ყველა პატივს სცემს, როგორც მეცნიერსა და მამულიშვილს, რომელსაც დიდი ღვაწლი მიუძღვის ქართული კულტურის კვლევისა და მისი საზღვარგარეთის ქვეყნებში პოპულარიზაციის საქმეში.

სერგო თუარნავა.

სახელმწიფო კომისია მუშაობს

სასამართლო-სამედიცინო ექსპერტიზის ყოველი დასკვნა მაღალკვალიფიციურად, ობიექტურად და კეთილსინდისიერად არის გაკეთებული. ითქვა, რომ ჩატარებულია არამატო 17 გვამის ექსპერტიზა, არამედ გამოკვლეულია 150 პირი, (მათ შორის, მეტწილად დაზიანებული მილიციელები) და თითოეულ მათგანზეც არსებობს ექსპერტიზის დასკვნა, რაც მნიშვნელოვანი ბრალდებაა 9 აპრილის ტრაგედიის დამნაშავეთათვის. თუმცა, ზაზა ოქროაშვილს არც ის დაუმალავს, რომ, რამდენადაც მან იცის, სამხედრო-სასამართლო ექსპერტიზა რადიკალურად განსხვავებულ შეფასებას აძლევს იგივეს. მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ სამხედრო-სასამართლო ექსპერტიზას უფლება აქვს უარყოს ჩვენი ექსპერტიზის დასკვნები.

საგამოძიებო ქვეკომისიის წევრმა თედო ნინოძემ კომისიის მოახსენა მიმდინარე წლის 18 თებერვალს პოლიტექნიკური ინსტიტუტის წინ არასანქცირებული მიტინგის აღკვეთის დროს მომხდარი სამართლებრივი ფაქტის გამოძიების მიმდინარეობის შესახებ. დასვა საკითხი ა. იმნაძისა და თ. ქორძიის მიმართ ფიზიკური ძალადობის გამოყენების ფაქტის გამოძიების შესახებ, რომელიც მომხსენებლის აზრით, ერთგვარი ანალოგების დაძებნის საფუძველს იძლევა და ითხოვს ჯეროვან განზოგადებას.

კომისიის სხდომამ მოისმინა აგრეთვე საინფორმაციო ქვეკომისიის თავმჯდომარის რეზო ჩხეიძის ზოგიერთი წინასწარი დასკვნა. მან დამშვრეთ წარუდგინა „იზვესტიის“ საკუთარი კორესპონდენტი ტატიანა ჭანტურია და „სოვეტსკაია კულტურის“ საკუთარი კორესპონდენტი ია მუხრანელი, რომლებმაც თავიანთი მოსაზრებები და ვარაუდები გააცნეს კომისიას. ამასთან დაკავშირებით ახალგაზრდების ჯგუფმა მოითხოვა, რომ ეს საკითხი უფრო დეტალურად განიხილონ. კომისიამ იმსჯელა და დააყენა საკითხი საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ბიუროს ზოგიერთი წევრის დაკავებული თანამდებობიდან გათავისუფლებისა და ბიუროს შემადგენლობიდან გაყვანის შესახებ. (როგორც ვიცით, 17 ივნისს გამართულმა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმმა გათავისუფლა ბ. ვ. ნიკოლსკი საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მეორე მდივნის და ბიურო

გუდმოწყალება

დავბერდი, მუვილდი ძირს დავდე

ძალი ხუნებით გულმოწყალე და შემწყარეა. მაინ ახალგაზრდაა, ეს გრძნობა უფრო გამახვილებული აქვს, კაცთმოყვარეა. თავის მრეკლს ყურადღებასა და მზრუნველობას არ აკლებს.

მრეკლი 12 მოხუცისგან შედგება. ავადმყოფები და უმწეონი ძლივს ახერხებენ საკუთარი თავის მოვლას, უფრო ხშირად წვანან, ფანჯრამდე მიღწევას და ეზაში მავალთა ცქერაზეღა დამდგარა ფარესამყაროსთან მთი კავშირი. მეზობელი კანტიკუნტად თუ შემოუღებს კარს, მოკითხავს. მარტოხელა მოხუცს კი ეტი ყურადღება სწყურია. თუმცა, რა ენან ეზობლებმა, ყველას თავისი საქმე აქვს, მათთვის, ბბა, ვის სცალია?

ასეთ დროს მაინ შემოვა ოთახში და იმედის შუქიც შემოანათებს. მისი მოკითხვა, საუბარი მალამოდ ედება მარტოხელას გულს, შვებას აგრძნობინებს, სიხარულს ჰგვრის.

— რამე ხომ არ გჭირდებათ, საქმელი მოგიტანოთ? ექნებ წამალი შემოგელიათ, ხუ გერიდებათ, მანქანითა ვარ, ახლავე მოგიბრძანებინებთ. ამ წინადადებას ზოგი სიხარულით იღებს, ზოგი უარყოფს, რადგან მიიასთან ყოფნა და საუბარი ახლა ყველა წამალზე მარგებელია, მათთვის. ხელს ჰაჭიდებენ და ეტყვიან, არაფერი გვინდა, ოღონდ ცოტა ხანს დარჩით ჩვენთან, ხმის გამცემი გვენატრებაო. მაიაც ცდილობს ყველა მთი სურვილი შეასრულოს.

ქალიშვილი სიბრალულს მიჰყავს ადამიანებთან, რომლებიც არ არიან მისი არც ნათესავები, არც ახლობლები, მიდის იმიტომ, რომ შეუმსუბუქოს მარტობა, გაუწიოს მცირედი დახმარება მაინც.

თუ რამდენად კეთილსინდისიერად ასრულებს მაინ თავის მოვალეობას, ნათლად იგრძნობთ, როცა ნახავთ, რა აღტაცებით და სიხარულით ხვდებიან თავიანთ კეთილისმყოფელს მოხუცები.

გიკვირთ ასეთი თბილი დამოკიდებულება, რადგან ცხოვრებაში ისეთ მაგალითებსაც შეხვედრიხართ, როცა ღვიძლი შვილი გულგრილობას იჩენს დაუძლურებული მშობლის მიმართ, არ უვლის, თავიდან იშორებს და მოხუცთა სახლში გზავნის.

საკეთის, სინდისის, გულმოწყალებისა და სხვა ზნეობრივი კატეგორიების დეფიციტის პირობებში, რასაც არცთუ იშვიათად ვხვდებით დღეს, გაკვირვებთ ასეთი გულმოწყალება, თუმცა ამ თვისებებს მისი პროფესიაც მოითხოვს — მაინ ექიმია.

კარგი საქმე გააკეთა საქართველოს სსრ სოციუზრუნველყოფის სამინისტრომ, როცა რაიონულ განყოფილებებს შრომის უნარს მოკლებულ მოქალაქეთა მომსახურებისათვის საშტატო ერთეულები დუმტკიცა. აი, რა გვიამბო თბილისის კიროვის რაიონის სოციალური უზრუნველყოფის განყოფილების გამგემ მარინე ამულაძემ ამ სიახლესთან დაკავშირებით:

— დრომ მოიტანა მარტოხელა ხანდაზმულთა მოვლის გაძლიერების საჭიროება. როგორც მოგეხსენებათ, შეიქმნა გულმოწყალებისა და ჯანმრთელობის სახელმწიფო ფონდი და შესაბამისად რესპუბლიკური განყოფილება, რომელთა პირველი საზრუნავი გასაჭირში ჩავარდნილი ადამიანის ხსნა, საზოგადოების წევრთა ჯანმრთელობაზე ზრუნვა. ამაე მიზნებს ემსახურება ბინაზე სოციალური სამსახურის შემოღებაც.

რაიონში 78 პენსიონერია, რომელთა შინ მომსახურების გაუმჯობესებაზე ზრუნავს ჩვენი განყოფილება. ვიყენებთ სხვადასხვა ფორმას. პირდაპირ მისწრება იყო შარშან სოციუზრუნველყოფის სამინისტროს მიერ სამი საშტატო ერთეულის გამოყოფა. სოცდახმარების მუშაკებად ავიყვანეთ ნინა ხუნდაძე, ციალა ტურფაშვილი და ეთერ პატახოვა, რომლებსაც 32 მარტოხელა ჩაებარეთ.

ამ საქმეში დიდად გვეხმარებიან საშეფო ორგანიზაციები, წითელი ჯვრის საპატრონაჟო სამსახურები, საშუალო სკოლებისა და მე-3 სამედიცინო სასწავლებლის მოსწავლეები.

ორი ძიძის ოგვისა არ იყოს, ამდენი მომვლელის დანიშვნამ ფორმალური ხასიათი რომ არ შეიძინოს, შემოვიღეთ მარტოხელა მოქალაქის მომსახურების წიგნაკები. დავურიგეთ ისინი პენსიონერებს, რათა ადნუსხონ, თუ ვინ და როდის, რა სახის მომსახურება გაუწია მარტოხელას.

მაგალითად, რაიონში 24 საშეფო ორგანიზაციაა ჩაბმული ამ საქმეში, მარტოხელებს მზრუნველობას არ აკლებენ ტყავისა და საპნის ქარხნების, საგალანტერეო ფაბრიკა „კომკავშირელისა“ და საბავშვო სატრიკოტაჟო ფაბრიკისა თუ სხვა კოლექტივები. ისინი ხშირად აკითხავენ პენსიონერებს, თავიანთ ყოფილ მუშებს. ეხმარებიან ფულით, 8 მარტსა და გამარჯვების დღეს — 9 მაისს მიართმევენ საჩუქრებს, ულოცავენ სხვა ღირსსახსოვარ დღესასწაულებსაც.

ხელმოკლე პენსიონერებს განყოფილებაე ეხმარება. მაგალითად, იმათ, ვისაც 50 მანეთზე ნაკლები პენსია აქვს დანიშნული, ყოველთვიურად ვაძლევთ დამატებით თანხას, რომ პენსია 50 მანეთამდე შეეფვსოთ. ხოლო პირებს, რომელთა პენსიაც 60 მანეთს არ აღემატება, ყოველწლიურად 100 მანეთით ვეხმარებით, — დაასრულა თავისი სათქმელი მარინე ამულაძემ.

მარტოხელა მოქალაქის მომსახურების წიგნაკში შეუძლებელია აღინუსხოს ის თანადგომა და დახმარება, რომელსაც № 1 სამკერვალო ფაბრიკის მუშა მზია ქათამაძე უწევს თავის ყოფილ თანამშრომელ, ერთ დროს მოწინავე მკერავს ოლია პოპოვას და პენსიონერ ანა ტარასოვას. ოლია მწვავე პოლიარტრიტით არის დაავადებული, მოძრაობა უჭირს, ავადმყოფობის გამო ახალგაზრდა გავიდა პენსიაში. ანა 77 წლის მოხუცია, გამხდარი, გალეულ-დაუძლურებული, მაგრამ მოვლილი და ფაქიზი. ყოფილი საერთო საცხოვრებლის შენობაში თითო პატარა ოთახი აქვთ დამთმობილი. დერეფანი ჰყოფთ ერთმანეთისაგან. ოთახებში შესვლა სასიამოვნოა, სისუფთავისაგან სარკესავით კრიალებს იატაკი და ეს ყოველივე მეზობლების დამსახურებაა. ახლახან ოთახები შეუკეთებიათ, შპალერი გაუკრავთ, იატაკი წითლად შეუღებავთ. ლოგინსა და თეთრეულს ხომ ქათქათი გაეკვეს. ერთი სიტყვით, მეზობლის, მზია ქათამაძის ხელის მადლს აქ ყველგან იგრძნობთ.

ჩვენს ქვეყანაში მიმდინარე გარდაქმნებისა და დემოკრატიზაციის პროცესებმა აამაღლა ისეთი ზნეობრივი თვისებების მნიშვნელობა, როგორიცაა გულმოწყალება, თანაგრძნობა, სიკეთე, ლმობიერება, ჰუმანურობა. ცხოვრებისა და ზროვნების რევოლუციურმა განახლებამ მოითხოვა ჯანმრთელობის დაცვისა და მოსახლეობის სოციალური უზრუნველყოფის მკვეთრი სრულყოფა. როგორც სახალხო დეპუტატთა ყრილობაზე ამ დღეებში ითქვა, უახლოეს ხანში გაუჯობესდება პენსიონერთა მატერიალური მდგომარეობა, განსაკუთრებული ყურადღება მიექცევა მცირეთანხიან პენსიონერებს.

წერილში აღწერილი მაგალითი, ბინაზე სოციალური სამსახურის შემოღება, ხანდაზმულთა, ავადმყოფთა და მარტოხელათა მოვლა-პატრონობა ერთ-ერთი მოსაწონი ფორმაა, რომელიც უნდა გავავრცელოთ და განვავითაროთ.

ნორა ნორაკიძე.

შესაძლოა, ბესო მეგრელიშვილს თვითონ არც ეფიქრა სადებიუტოდ ისეთი რთული, მრავალწახნაგოვანი, ღრმა სოციალურ-ფსიქოლოგიური ხასიათის როლის თამაში, როგორიცაა გია ი. სამსონაძის „ბედნიერ ბილეთში“. ეს თამამი არჩევანი, მოზარდ მაყურებელთა სახელმწიფო ქართულ თეატრში, სპექტაკლის დამდგმელს, ცნობილ ქართველ რეჟისორს შალვა გაწერელიას ეკუთვნის, რომელიც ალბათ იმ პრინციპით ხელმძღვანელობდა, რომ ახალგაზრდა ყმაწვილის როლი ახალგაზრდა მსახიობმა უნდა განასახიეროს, თუმცა შეიძლება მას საამისოდ არც პროფესიული ოსტატობა გააჩნდეს, არც მდიდარი ცხოვრებისეული გამოცდილება. ხომ ცნობილია, რომ თვით შექსპირის რომეოც ხშირად „დაზარალებულა“, როცა მას სცენურ სიცოცხლეს ასაკოვანი მსახიობი ანჯვიდა, რომელსაც (თუმც აღტკურვილი იყო აქტიორული ოსტატობის ყველა პარამეტრით) არ ჰქონდა ალბათ ყველაზე მთავარი, რასაც ახალგაზრდული ხიბლი ჰქვია. ეს ხიბლი ბესო მეგრელიშვილს უხვადა აქვს მომადლებული.

ბ. მეგრელიშვილის გმირი რომეო არ არის, მაგრამ შექსპირის სხვა გმირის მსგავსად, მასაც აქვს გადასაწყვეტი თავისი ყოფნა-არყოფნის საკითხი. მაინც ვინ არის იგი, საიდან მოვიდა და რა სურს ამ ცხოვრებისაგან? ეს კითხვები აფორიაქებს მისი თაობის მაყურებელს და არა მარტო ამ თაობას — სხვებსაც. განა დღეს, თითოეული ჩვენთაგანისათვის ნიშანდობლივი არ არის სურვილი, გავიგოთ ვინა ვართ და რა გვინდა? მთელი სპექტაკლის მაძიებელს ბ. მეგრელიშვილის გმირი, ცხოვრების გზაჯვარედინზე მყოფი, არჩევანის წინაშე დგას, საით გაუწევს გული — ყოველდღიური წვრილმანი სიამოვნებისაკენ, ობივატელური კეთილდღეობისაკენ, თუ მოწამებრივი გზით სიკეთისა და ზნეობრივი ამაღლებისაკენ.

ერთი შეხედვით თითქოსდა პასიური, ბრძოლის უნარს მოკლებული, მიჰყვება ცხოვრების მდინარებას, მაგრამ როგორი



ენერგია და სულიერი სიმტკიცე სჭირდება, რათა ცხოვრების დაუნდობლობამ არ დაძიროს ფსკერზე. რამდენი ჯერ ბრალდებიან თავისი სასიცოცხლო ასპარეზის მოძიება-დამკვიდრებაში. თითქოს ხაფანგი დაუგოო ცხოვრებამ, ყოველ ნაბიჯზე ცდუნებას ეჯახება; მას, დროებით დაუსაქმებელს, შეუძლია გახდეს ქურდიც, ნარკომანიც, იოლი გზით მიაღწიოს კეთილდღეობას და ასე შემდეგ. ამ წინააღმდეგობრივ გზაზე გია სულიერ თავშესაფარს მასზე გაცილებით უფროს ქალთან სიყვარულში ეძებს, ეძებს აგრეთვე ფაქიზი ბუნებისა და ტრაგიკული ბედის ქალსტრატესთან ურთიერთობაში, დედისა და გარდაცვლილი მამის, საერთოდ, თავისი ოჯახის ღირსებაში.

რაც უფრო ახლოს ეცნობა გია ცხოვრებას, პირისპირ ეჯახება

ახალი სახელები

ოღბლიანი დებიუტი

ამა თუ იმ მოვლენას, ცალკეულ ადამიანებს, მას უნებლიედ უწევს ამ პროცესების გაანალიზება და, საბოლოო ჯამში, ბავშვობაში შესისხლხორცებულ ფასეულობათა მტკივნეული გადაფასება — ახალგაზრდა კაცის ცნობიერებაში ზედიზედ ულმობლად იმსხვრევა ბევრი იდეალი. ბესო მეგრელიშვილი, როგორც მსახიობი, ღირსეულად გაიცვლის თავისი გმირის „წყმების გზას“. სულიერი ტრავმების, ფსიქოლოგიური სტრესების, მოულოდნელი უსიამო აღმოჩენების „ქარ-ცეცხლში“ იკვეთება გია ხასიათი და ბრძოლისუნარიანობა.

შ. გაწერელიას რეჟისორულ გადაწყვეტაში, მ. ჭაკვეტაძის მრავალპლანიან, გონებამახვილურ სცენოგრაფიაში თეთრი ფერი სუბრობს, რაც გმირის სულიერ სიწმინდეზე მიგვანიშნებს, რომლის გამარჯვება ცხოვრებაზე ძვირადღირებულია, მაგრამ მაინც გამარჯვებაა. ბესო მეგრელიშვილის გია წარმოგვიდგება როგორც სუფთა, გულუბრყვილო არსება, კეთილი და მიმნდობი; ამავე დროს, გმირის ცხოვრების ემოციურ პიკებში იგი გარდაიქმნება ძლიერ და შემტევ პიროვნებად, შეიძლება სასტიკადაც — ვინაიდან ცხოვრებისეულ ტალღებს ებრძვის. ამ დროს კი წყალი აუცილებლად აიმღვრევა, კარგავს გამჭვირვალებას, თუმცა ფსკერი კვლავინდებურად ანკარა რჩება. გია ბუნებაც ხომ ასეთია — აფორიაქებული, უკიდურეს განცდათა შემცველი, მაგრამ მთლიანი და შეურყეველი. ბ. მეგრელიშვილის ასეთმა ლაღმა, ტემპერამენტიანმა, სევდანარევი ლირიზმითა და ახალგაზრდული მომხიბვლელობით აღსავსე სცენურმა არსებობამ გაამთლიანა და შეაკავშირა სპექტაკლში შემავალი ჟანრულად მდიდარი ყოფითი ეპიზოდები, რომლებიც ჩვენი დღევანდელი რთული ცხოვრების სახიერ შრეებად ადიქმება.

ახალგაზრდა მსახიობის ბესო მეგრელიშვილის იღბლიანი დებიუტი დიდად განაპირობა გამოცდილ სცენის ოსტატთა შესანიშნავმა ანსამბლმა შალვა გაწერელიას ხელმძღვანელობით, თითოეული მთგანი (აქვე არ შეიძლება არ მოვიხსენიო კომპოზიტორ დავით ტორიაშვილის ღვაწლი სპექტაკლის საერთო წარმატებაში) ქმნის ინდივიდუალობით გამორჩეულ, ესოდენ ნიცნობ კოლორიტულ სახეებს და საერთო მთლიანობაში განუმეორებელ თეატრალურ სამყაროს.

ვაცა ქიგუა.

რთული გზა პუერტო-რიკოსა და კოლუმბიისაკენ

საჭადრაკო სამყაროში დიდი პრესტიჟი აქვს მსოფლიო პირველობებს გოგონთა და ჭაბუკთა შორის. ეს გასაგებიცაა. საქმე გვაქვს ჭადრაკის ხელინდელ დღესთან, იმ მომავალ დიდოსტატებთან, რომლებმაც მალე გეზი უნდა მისცენ საჭადრაკო ხელოვნების შემდგომ განვითარებას. ამიტომაც ასეთი შეჯიბრებებისათვის ხანგრძლივად ეპზადებიან, აწყობენ შესარჩევ ტურნირებს და შეკრებებს.

იყო დრო, როდესაც ფიდე ერთადერთ ასეთ ასპარეზობას მართავდა — მსოფლიო ჩემპიონატს. ჭაბუკთა შორის სწორედ აქ დაწინაურდნენ შემდგომში გამოჩენილი დიდოსტატები ბორისლავ ივკოვი (პირველი მსოფლიო ჩემპიონი ჭაბუკთა შორის), ოსკარ პანო, ბორის სპასკი. თავის დროზე მსოფლიო ჩემპიონები ჭაბუკთა შორის ანატოლი კარპოვი და გარი კასპაროვიც იყვნენ. შემდეგ დრომ მოიტანა და შემოიღეს მსოფლიო პირველობის გათამაშება გოგონათა შორისაც. შემდგომი ნაბიჯი იყო ასაკობრივი კატეგორიების შემოღება. ახლა უკვე 10 ასეთი ოფიციალური შეჯიბრება იმართება, ხუთ-ხუთი გოგონათა და ჭაბუკთა შორის, მსოფლიო ჩემპიონატები 12, 14, 16, 18 და 20 წლამდე. წლეულს განბრახულია მათ ექსპერიმენტის სახით კიდევ ორი შეჯიბრება დაემატოს: ასპარეზობა 10 წლამდე ასაკის მოჭადრაკეებისათვის.

შარშან ასეთ ტურნირს ჯერ რუმინეთმა, ხოლო შემდეგ ავსტრალიამ უმასპინძლა, წლეულს პაიჭრობები უკვე პუერტო-რიკოსა და კოლუმბიაში გაიმართება. 23 ივლისს პუერტო-რიკოში დაიწყება ყველა შეჯიბრება, უმთავრესის — 20 წლამდე ასაკის მოჭადრაკეების მსოფლიო ჩემპიონატის გარდა. ამ შეჯიბრებების დამთავრებიდან 5 დღის შემდეგ კოლუმბიაში სტარტი მიეცემა 20 წლამდე ასაკის მოჭადრაკეების მსოფლიო ჩემპიონატს.

5 დღე შემთხვევით არ გვიხსენებია...

როგორც მკითხველს მოეხსენება, იანვრიდან მოყოლებული გაიმართა გოგონთა და ჭაბუკთა არაერთი საკავშირო შესარჩევი ტურნირი მსოფლიო პირველობის წინ, რომელიც საბოლოო ანგარიშით დიდი ჭარმატებით აღინიშნა. ამის მიუხედავად, ბევრი საკითხი განმარტებას მოითხოვს, რაზედაც დღეს გვინდა გეესაუბროთ.

ბოლო წლებში შესანიშნავი მიღწევები აქვს ქეთევან კახიანს, რომელსაც საქართველოს დამსახურებული მწვრთნელი გიორგი მაჭარაშვილი აძეცადინებს. მან ქალთა შორის მსოფლიო პირველობის საზონაშორისო ტურნირში მონაწილეობის უფლება მიიღო. 17 წლის ქალიშვილისთვის, რა თქმა უნდა, დიდი წარმატებაა. წლეულს საკითხი დადგა გოგონათა მსოფლიო პირველობაზე მონაწილეობის უფლების მოპოვების შესახებ. შესარჩევ ტურნირში კახიანის მთავარი მეტოქე იყო უკვე საკმაოდ გამოცდილი საერთაშორისო ოსტატი, საბჭოთა კავშირის ყოფილი ჩემპიონი ქალთა შორის სვეტლანა მატვეევა. ამ მეტოქეობას ერთი თავისებური ნიუანსიც ჰქონდა: კახიანს შეეძლო მეორე ადგილითაც დაკმაყოფილებულიყო, თუკი მატვეევა პირველ ადგილს დაიკავებდა. ამ შემთხვევაში ქართველი მოჭადრაკე 18 წლამდე გოგონების მსოფლიო ჩემპიონატში ითამაშებდა, რაც, რა თქმა უნდა, ასევე საკმაოდ პრესტიჟული შეჯიბრებაა. მატვეევას კი აუცილებლად პირველი ადგილისათვის უნდა ებრძოლა, რადგან იგი ზაფხულში 20 წლისა სრულდება და ამდენად მხოლოდ ამ ტურნირში შეუძლია გამოსვლა. შესარჩევი ტურნირის შედეგები ცნობილია: პირველ ადგილზე გამოვიდა კახიანი, მეორეზე — მატვეევა, მესამეზე — ნათია ჯანჯღავა, რომელმაც მოიპოვა უფლება ითამაშოს 18 წლამდე გოგონების შეჯიბრებაზე. ეს არავითარ შემთხვევაში არ აძლევდა ხელს სახელმწიფო მწვრთნელ რიმა ბილუნოვას, რომელიც საკავშირო სპორტკომიტეტის ჭადრაკის სამმართველოში ქალთა ჭადრაკის საკითხებს განაგებს. საქმე ის არის, რომ ბილუნოვას ქართველ მოჭადრაკეებთან კარგა ხანია კონფლიქტური სიტუაცია აქვს, რის შესახებაც საინტერესოდ წერდა საერთაშორისო ოსტატი ლარისა პილნიჩაროვა მოსკოვის „64“-ში გამოქვეყნებულ კრიტიკულ მიმოხილვაში, სწორედ ბილუნოვას გამო მოხდა, რომ სალონიკში საჭადრაკო ოლიმპიადაზე არ გაემგზავრნენ ნანა ოხესელიანი და მსოფლიოს ექსჩემპიონი ნონა გაფრინდაშვილი, რომლებიც გუნდს, ექვგარეშეა, პირველ ადგილს მოუტახდნენ.

ახლა ბილუნოვამ კახიანს და მის მწვრთნელს ასეთი „ვარიანტი“ შესთავაზა: დაეთმო თავისი ადგილი გოგონათა მსოფლიო ჩემპიონატში (20 წლამდე) მატვეევასთვის, რათა იგი საერთოდ ასპარეზობათა მიღმა არ დარჩენილიყო და დაემაყოფილებულიყო უფრო დაბალი ასაკისა (და რანგის!) შეჯიბრებით. ამ შემთხვევაში ბილუნოვას არცკი გაახსენდა, რომ სამაგიეროდ, „მიღმა რჩებოდა“ ჯანჯღავა. კახიანმა ასეთი „კომპრომისზე“ კატეგორიული უარი განაცხადა და ისიც თქვა, რომ თუ ძალიან „ჩაიცივდებიან“, მას უფლება აქვს კიდევ შეჯიბრებაშიც ითამაშოს და მეორეშიც (5 დღის განსხვავებაზეც ამიტომ ვილაპარაკეთ). ასეთი მაგალითები ადრე არაერთგზის ყოფილა. შარშან ტიმოშოარაში (რუმინეთი) 16 წლის ფრანგმა ჭაბუკმა ჟოელ ლოტიემ მესამე ადგილი დაიკავა თავის ასაკობრივ კატეგორიაში, რაც დიდ წარმატებად ჩაუთვალეს. შემდეგ ლოტიე გაემგზავრა ადელაიდაში (ავსტრალია) და... მსოფლიო ჩემპიონი გახდა 20 წლის ასაკის ჭაბუკებს მსოფლიო ჩემპიონატში.

ერთი სიტყვით, ბილუნოვას მოთხოვნები თუ პრეტენზიები უარყოფილი იქნა — კახიანი 20 წლამდე ასაკის გოგონათა მსოფლიო ჩემპიონატში ითამაშებს, ჯანჯღავა კი 18 წლამდე ასაკის ყმაწვილების მსოფლიო ჩემპიონატში.

იმის თაობაზე, თუ ვინ უნდა გაემგზავროს 16 წლამდე გოგონების მსოფლიო ჩემპიონატზე, რაიმე დავა არ ყოფილა. აქ ორი ქართველი მოჭადრაკე ითამაშებს: თეა ლანჩავა, როგორც მსოფლიო ჩემპიონი (ეს წოდება მან შარშან ტიმოშოარაში მოიპოვა) და სოფიკო ნიკოლაძე, როგორც საკავშირო შესარჩევ ტურნირში გამარჯვებული.

კიდევ ერთმა ქართველმა მოჭადრაკემ, ბათუმელმა დიანა დარჩიამ გაიმარჯვა საკავშირო შესარჩევ ტურნირში (12 წლამდე). მას ამ ასაკობრივ კატეგორიაში კავშირში სერიოზული მეტოქე არა ჰყავს. საკითხი რამდენადმე გაართულა საკავშირო საჭადრაკო ფედერაციის პრეზიდიუმის სხდომაზე მსოფლიოს ექსჩემპიონ მიხეილ ბოტვინიკის გამოსვლამ. მას საერთოდ მიზანშეუწონლად მიაჩნია ასეთი ასაკის მოჭადრაკეების სხვა ქვეყნებში გაგზავნა და შესაბამისი მსოფლიო ჩემპიონატების მოწყობა. ბოტვინიკს მომხრეებიც ყავს და მოწინააღმდეგეებიც, ამიტომ საკავშირო ფედერაციამ საკითხის განხილვა გადადო. თავის მხრივ, ფიდე საკავშირო ფედერაციისაგან (ისევე, როგორც მის შემადგენლობაში შემავალი ნებისმიერი სხვა ორგანიზაციისაგან) მოითხოვს საერთაშორისო შეჯიბრებაში სავალდებულო მონაწილეობას. ისე, რომ დარჩიას საკითხი, ბოლოს და ბოლოს, დადებითად გადაწყდა. ისე, რომ ქართული „დესანტი“ ლათინური ამერიკის ქვეყნებში მრავალრიცხოვანი იქნება.

ბიძი გამრეკელი.

თეატრალური პრემიერა

ჩვენი გაზეთის მკითხველთაგან ბევრმა, ალბათ, უკვე ნახა ნინო ჯანიშვილის სახელობის სახელმწიფო აკადემიური თეატრის ახალი სპექტაკლი „ხელშეკრულება“.

ედუარდო დე ფილიპოს ამავე სახელწოდების პიესა იტალიურიდან თარგმნა ზაირა სტურუამ, შემდგომ კი მისი ფაბულის მიხედვით რომოქმედებიანი კომედია შექმნა მწერალმა ლევან მალაზონიამ.

სპექტაკლი, რომელშიც მონაწილეობენ საქართველოს სახალხო არტისტი გიზო სიხარულიძე, რესპუბლიკის დამსახურებული არტისტები გ. ბუაჩიძე, ნ. ბაბალიანი, ნინო ბიბილეიშვილი, ალალ ფალავანდიშვილი, ლადო ცხვარაშვილი, ბოსდო გოგიანავა, მსახიობები ასმათ ტყაბლაძე, მაია ტატიშვილი, ზოთა მშვენიერაძე, ელგუჯა თოფურია, დადგა ხელოვნების დამსახურებულმა მოღვაწემ თემურ აბაშიძემ. კომპოზიტორია დავით ტურიაშვილი. მხატვრობა ეკუთვნის სამეულს — ოლეგ ქოჩაკიძეს, ალექსანდრე სლოვინსკის, იური ჩიკვაიძეს.

ძეთევან ახალკაცი.

სოფლის დაბადება

ბარდავანი. ნორიოს მეფრინველეობის ფაბრიკის ტერიტორია ბოლო წლებში საგრძნობლად გაიზარდა და დამშვენდა. დღეს იგი თეთრადქათქათა დასახლებას წარმოადგენს. აქ არის საშუალო სკოლა, 140-ადგილიანი სბავშვო ბაგა-ბაღი, ღია და დახურული საცურაო აუზი, საყოფაცხოვრებო მომსახურების დაწესებულებები, საგაჭრო ცენტრი. მედამბულატორია, ბიბლიოთეკა. ახლახან რამდენიმე სახლს შემოეხსნა ხარჩოები და ფაბრიკის მუშებმა ახალმოსახლეობა იზეიმეს. მალე მშრომელთა სამსახურში ჩადგება 400-ადგილიანი კულტურის სახლი. აქ ყველა ოჯახი სარგებლობს ბუნებრივი გაზითა და ცხელი წყლით. ქუჩები და ტროტუარები მოასფალტებული და გამშვენებულია. შენდება სკვერები.

ყოველივე ეს კეთდება ფაბრიკის მრომითი კოლექტივის რუდუნებით, ისინი, საკუთარი მოგებიდან, ამ საქმეს დიდ თანხას ახმარენ. მოგება კი საწარმოს ყოველწლიურად რამდენიმე მილიონი მანეთი აქვს.

ბოლო დროს დასახლება საკმაოდ გაიზარდა. აქ აგებულია ბევრი ინდივიდუალური სახლიც. მაგრამ მას სოფლის სტატუსი ჯერაც არა აქვთ მინიჭებული, თუმცა მეხოვრეები ამას რამდენიმე წელია ითხოვენ. ფაბრიკის დირექტორმა — საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატმა მერი მდივანმა სოფლის სახელის შესარჩევად თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ახალ ქართული ენის კათედრასთან არსებულ ტოპონიმიკური კვლევის რესპუბლიკურ ცენტრს — ტოპონიმიკის ლაბორატორიას მიმართა. საიდანაც მეცნიერულად დასაბუთებული პასუხი მიიღო: მეფრინველეთა ახლანდელი დასახლების ზემო ნაწილის მახლობლად მდებარეობს ძველი ნასოფლარი — წინუბანი (წილუბანი) და უმჯობესია სოფელსაც ეს სახელი ეწოდოსო. ამით ერთ ისტორიულ ტოპონიმს ხელახლა დაუბრუნდება სიცოცხლე.

შრომითმა კოლექტივმა მოიწონა ეს წინადადება. ახლა საკითხი ზემდგომ ორგანოებში დგას და, ექვგარეშეა, წარმატებით გადაწყდება. მალე საქართველოს რუკაზე, ალბათ, გაჩნდება ერთი ახალი სოფელი — წინუბანი, რომელის სახელიც ზუსტად მიესადაგება ქალაქის წინ მდებარე დასახლებას.

დავით ბიწაძე,
„კომუნისტის“ სპ. კორ.

საგუშაგო ორბიტა

● **თავისუფალი ბიდაობა.** მაჰაჩყალაში დამთავრებულ საკავშირო ჩემპიონატზე საქართველოს მოჭიდავეთაგან ყველაზე დიდი წარმატება ხვდა თბილისელ შამილ მამომედოვს, მან 62 კგ-მდე წონაში ოქროს მედალი მოიპოვა. სუპერმძიმე წონაში ოქროს მედალი არ გათამაშდა იმის გამო, რომ ფინალისტები — თბილისელი დავით გობეჯიშვილი და ტაშკენტელი ახლად ხადარცევი პასიურად მოქმედებდნენ სარბიელზე და ორივეს წაგება მიეკუთვნათ. სახლოოდ ორივე ვერცხლის მედალს დასჯერდა. 52 კგ-მდე წონაში თბილისელმა ავთანდილ გოგოლიშვილმაც ვერცხლის მედალი დაიბაკუთრა. გუნდურ ჩათვლაში პირველი ადგილი ხვდათ რსფსრ მოჭიდავეებს — 52 ქულა. მეორე ადგილზე გამოვიდა საქართველოს ნაკრები — 24 ქულა, მესამეზე — მოსკოვის გუნდი — 20.

● **ბაზრაობი.** როტერდამში მიმდინარე მსოფლიო თასის გათამაშების მეზუთე ეტაპის ცამეტი ტურის შემდეგ ა. კარპოვს 8,5 ქულა აქვს (11 შესაძლებლიდან), ჰოლანდიელ ი. ტიმანს — 7,5 (12-დან და 1 გადადებული პარტია). მესამე ადგილზეა დიდი ბრიტანეთის წარმომადგენელი ჯ. ნანი — 12 შესაძლებლიდან 6,5 ქულა და 1 გადადებული პარტია.

● **ჯალათბურთი.** ვარნაში დამთავრდა ევროპის ჩემპიონატი ქალთა გუნდებს შორის. გაიმარჯვა სსრ კავშირის ნაკრებმა. სახვითა გუნდმა ამ შეჯიბრების ნახევარფინალში დაამარცხა ბულგარელთა კოლექტივი ანგარიშით 90:71, ფინალში კი სძლია ჩეხოსლოვაკიის ნაკრებს — 84:61. მესამე ადგილი წილად ხვდათ ბულგარელებს, რომლებმაც ამ ადგილისათვის გამარჯვა მატჩი ბულგარეთ-თა ოლიმპიადის ჩემპიონებს — 79:69.

● **შესახურთი.** გაიმართა მსოფლიო ჩემპიონატის ერთი მატჩი ჩრდილოეთის, ცენტრალური ამერიკისა და კარიბის ზღვის შერჩევით ზონაში: აშშ-ს ნაკრებმა მიიღო გვატემალის ეროვნული გუნდი და დაამარცხა ანგარიშით 2:1. ამ ზონაში 7 ქულით ლიდერობენ კოსტარიკელები (12 შესაძლებლიდან). მომდევნო ადგილებზე არიან აშშ-ს (8-დან 7 ქულა), გვატემალის (6-დან 2), ტრინიდადისა და ტობაგოს (6-დან 2) ნაკრები გუნდები. სალვადორელებს ჯერ ერთი მატჩიც არ გუშმართვათ.

● **ძალეთსნობა.** იტალიის დედაქალაქში გამართულ ტრადიციულ ეროვნულ შეჯიბრებაზე მსოფლიო რეკორდი დაამყარა ილეანა სალვადორმა. 10 კილომეტრზე საიარულში მისი სარეკორდო მაჩვენებელია 42 წუთი და 39,2 წამი.

უკანასკნელ საათს

ბუენოს გაიმართა უმაღლესი ლიგის ფეხბურთელთა გუნდების საკავშირო ჩემპიონატის მეთხუთმეტე ტურის მატჩები. თბილისის დინამოელებმა უმასპინძლეს ჩემპიონატის ერთ-ერთ ლიდერს — დნეპროპეტროვსკის „დნეპრს“. შეხვედრა დამთავრდა დინამოელთა გამარჯვებით — 2:0.

ᲓᲦᲔᲡ დასავლეთ საქართველოში მოსალოდნელია ცვალებადი მოღრუბლულობა, სუსტი ქარი, ხანმოკლე წვიმა ჭექა-ქუხილით.

ტემპერატურა — დაბლობ რაიონებში 27-32, სანაპიროზე 20-27, მთებში 25-30, მაღალმთიანეთში 17-20 გრადუსი.

აღმოსავლეთ საქართველოში — ცვალებადი მოღრუბლულობა, სუსტი ქარი, ზოგან ხანმოკლე წვიმა და ჭექა-ქუხილი, მოსალოდნელია სეტყვა.

ტემპერატურა — დაბლობ რაიონებში 28-33, მთებში 24-29, მაღალმთიანეთში 15-20 გრადუსი.

• • •

თბილისში — ცვალებადი მოღრუბლულობა, სუსტი ქარი, უნალექოდ.

ტემპერატურა — 31-33 გრადუსი სითბო.

რედაქტორი
ნ. ჩერქეზიშვილი.

საქართველოს ეკონომისტთა საზოგადოების რესპუბლიკური გამგეობა

აცხადებს კონკურსს საქართველოს სსრ სამეურნეო ანგარიშიანობის კრებსითი კონცეფციის საკითხებზე ვარიანტის გამოსავლინებლად.

კონკურსის მონაწილე შეიძლება იყოს როგორც ავტორთა კოლექტივი, ისე ცალკეული პიროვნება.

კონკურსში გამარჯვებულისათვის დაწესებულია ერთი პრემია — 5000 მან.

ნაშრომი და დოკუმენტები 2 ეგზემპლარად წარმოდგენილი უნდა იქნეს საზოგადოების რესპუბლიკურ გამგეობაში 1989 წლის 1 დეკემბრამდე. ნაშრომს უნდა ახლდეს ცნობა, რომელშიც ნაჩვენები იქნება: ავტორის (ავტორთა) გვარი, სახელი, მამის სახელი, სამეცნიერო ხარისხი და წოდება, სამუშაო ადგილის სრული დასახელება, დაკავებული თანამდებობა, ბინის მისამართი, ტელეფონის ნომერი.

საზოგადოების რესპუბლიკური გამგეობის მისამართია: **თბილისი, ჯავახიშვილის, 16 (ვ. ვარსიმაშვილი). ტელეფონი ცნობებისათვის: 98-69-06.**

საქართველოს ეკონომისტთა საზოგადოების რესაუბლიკური გამგეობის პრეზიდიუმი.

იზრდება „თეთრი ქარავანი“

მეცხოველეობას — განსაკუთრებული ზრუნვა

თეთრი წყაროს რაიონის წინწყაროს მეცხოველეობის საბჭოთა მეურნეობის ცხვრის ფარა საგაზაფხულო საძოვრებზეა. მწყემსებმა წარმატებით გაართვეს თავი პასუხსაგებ კამპანიას: ფარა მნიშვნელოვნად